

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და
სარედაქციო-საგამომცემლო საქმე

ნინო ჭიკაიძე

ნიკო ნიკოლაძის სარედაქციო მოღვაწეობა

(გაზეთი „დროება“ და ჟურნ. „კრებული“)

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები:

ნანა ფრუიძე,
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი,
მაკა ელბაჭიძე,
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნიკო ნიკოლაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე იყო. მან ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიიღო, წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთსა და ევროპაში. ასაკის მიუხედავად, ის საუკეთესოდ იყო მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ნიკო ნიკოლაძემ შესანიშნავად იცოდა, რა მძლავრი ირალი იყო ინტელიგენციის ხელში პრესა და პერიოდული გამოცემები, ამიტომ თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობას მოახმარა, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა, ერთი მხრივ, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში, მეორე მხრივ კი - ქართული საზოგადოების გონებრივი თვალსაწიერის გაფართოების საქმეში.

ნიკო ნიკოლაძის შესახებ არაერთი მონოგრაფია თუ გამოკვლევაა დაწერილი, თუმცა ცალკე კვლევის საგნად არავის უქცევია, თუ რა ტიპის მხატვრულ ტექსტებს ბეჭდავდა იგი „დროებასა“ და „კრებულში“; რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა გამოსაქვეყნებელი მასალის შერჩევას, რომელ ავტორებსა თუ ჟანრებს ანიჭებდა უპირატესობას და რატომ.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ნიკო ნიკოლაძის სარედაქტორო მოღვაწეობას. გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულზე“ დაკვირვებით შევეცადეთ გამოგვეკვეთა ნიკო ნიკოლაძის სარედაქციო პოლიტიკა; გამოგვევლინა მისი პრიორიტეტები, მუდმივი თანამშრომლები; ასევე, გვსურდა დაკვირვებოდით, თუ რა გამონწვევების წინაშე დგებოდა ის, როგორც რედაქტორი და რა სტრატეგიას ირჩევდა პრობლემების მოსაგვარებლად.

Annotation

Niko Nikoladze was one of the outstanding figures of the second half of the 19th century. He has received deep and substantial education; lived and led public work in Russia and Europe during years. In spite of his age, he was best prepared for public activities.

Niko Nikoladze was pretty sure that press and periodicals were powerful weapons in the hands of intelligentsia. That's why, he had spent the most part of his living life to cooperate with the magazines and newspapers and greatly contributed to the development of the Georgian journalism, on one hand, and widen the mental horizon of the Georgian society, on the other.

Plenty of monographs and researches were written about Niko Nikoladze, but the topic of the texts' type, he was publishing in "Droeba" and "Krebuli", criterions he used while choosing the material to be published, and the authors or genres he preferred and its reason, had never been the subject of research.

Present Master's work is dedicated to the editorial work of Niko Nikoladze. While observing the newspaper "Droeba" and magazine "Krebuli", we tried to shape Niko Nikoladze's editorial politics; bring out his priorities and permanent personnel. Also we tried to concentrate your attention on the challenges Niko Nikoladze had as an editor-in-chief and which strategies he chose to settle different problems.

სარჩევი

შესავალი -----	5
I თავი. „თერგდალეული“ და მეორე დასის ლიდერი -----	8
II თავი. ნიკო ნიკოლაძის ჟურნალისტური ღვაწლი -----	12
2.1. ნიკო ნიკოლაძე პუბლიცისტი -----	12
2.2 ნიკო ნიკოლაძე რედაქტორ-გამომცემელი -----	19
2.3. ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა -----	24
III. თავი. ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში“ -----	27
IV თავი. ნიკო ნიკოლაძე და ჟურნალი „კრებული“ -----	30
4.1. დაარსება -----	30
4.2. ნიკო ნიკოლაძე - ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორი -----	33
4.3. „კრებულის“ ფორმატი, სტრუქტურა და ტექნიკური გაფორმება -----	36
V თავი. მხატვრული ლიტერატურა ჟურნალ „კრებულში“ -----	36
5.1. პოეზია -----	43
5.2. პროზა -----	50
5.3. დრამატურგია -----	56
5.4 ფოლკლორი -----	59
დასკვნა -----	60
გამოყენებული ლიტერატურა -----	62
დანართი 1 -----	64
დანართი 2 -----	65
დანართი 3 -----	77
დანართი 4 -----	84

შესავალი

ჩვენი საკვალითიკაცო ნაშრომის თემაა „ნიკო ნიკოლაძის სარედაქტორო მოღვაწეობა“. არტურ ლაისტის შეფასებით, ეს მაღალნიჭიერი, ჭკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით.

ნიკო ნიკოლაძისათვის ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პრაქტიკული საქმიანობა არასდროს ყოფილა ერთმანეთისგან გამიჯნული, თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ თავისი თითქმის სამოცდაათწლიანი მოღვაწეობის პირველი პერიოდი უმეტესწილად ჟურნალისტიკას მიუძღვნა, მეორე ნახევარი კი - პრაქტიკულ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობას.

ქართულ სინამდვილეში XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესის წარმმართველის ფუნქცია პერიოდულმა პრესამ იკისრა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ახალთაობის საუკეთესო ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჯერ „ცისკართან“ და საქართველოს მოამბესთან“, შემდეგ კი - გაზეთ „დროებასთან“.

„დროებას“ სათავეში თანამოაზრეთა ჯგუფი ედგა; ყველანი აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ორგანიზაციულ-ფინანსურ, ისე - ლიტერატურულ საქმიანობაში. მათ აერთიანებდათ ჟურნალისტური პრიციპები და იდეური პლატფორმა, თუმცა თითოეულ მათგანს მუშაობის საკუთარი სტილი და მანერა ჰქონდა. ამ გუნდში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც რედაქტორზე ნაკლებ გავლენას როდი ახდენდნენ გაზეთის მიმართულებასა და წარმატებაზე. ერთ-ერთი

ასეთი პიროვნება იყო ნიკო ნიკოლაძე, რომელიც კრიტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა და, შეიძლება ითქვას, სულს უდგამდა და ტონს აძლევდა გამოცემას. 1871-1873 წლებში კი ის სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „კრებულს“, რომელიც მისივე ინიციატივით გამოიცა.

ნიკო ნიკოლაძემ ქართულ სინამდვილეში დაამკვიდრა მაღალი პუბლიცისტური კულტურა, განამტკიცა მისი მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები; რუსულ და ევროპულ ჟურნალისტიკაში მიღებული ცოდნის დახმარებით მან თავისუფლად მოირგო რეფორმატორის როლი. მისი წერილები გამოირჩეოდა მძლავრი მოქალაქეობრივი პათოსით და ამიტომაც დიდ პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ნიკო ნიკოლაძის, როგორც რედაქტორ-ჟურნალისტის საქმიანობა. დავკვირვებოდით, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა ის „დროებასა“ და „კრებულში“ მუშაობისას; როგორ არჩევდა გამოსაქვეყნებელ მასალას, ვინ იყვნენ ის პოეტები და პროზაიკოსები, რომელთა შემოქმედებასაც თვლიდა ნიკო ნიკოლაძე მკითხველი საზოგადოებისათვის გაცნობის ღირსად. ამ მიზნით შევქმენით „კრებულში“ გამოქვეყნებულ მხატვრულ თხზულებათა სიხშირის ცხრილი და კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით გამოვავლინეთ რედაქტორის პრიორიტეტები.

„კრებულის“ რედაქტორის ვინაობასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა; ერთ ნაწილს „კრებულის“ დამაარსებლად და მის ერთადერთ რედაქტორადაც გიორგი წერეთელი მიაჩნია, ნაწილი კი თვლის, რომ გიორგი წერეთელთან ერთად ნიკო ნიკოლაძეც იყო „კრებულის“ ხელმძღვანელი. ჩვენი ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ გამოვკვეთოთ ნიკო ნიკოლაძის როლი ჟურნალის ფორმირებისა და მისი სარედაქციო პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში.

ჩვენი ამოცანაა, შევაჯეროთ ყველა ის არსებული ლიტერატურული და საარქივო მასალა, რომელიც ნიკო ნიკოლაძის, როგორც რედაქტორ-პუბლიცისტის სახეს მთელი სიყბადით წარმოაჩინს. „დროებასა“ და „კრებულში“ გამოქვეყნებულ შემოქმედებით მასალასა და პუბლიცისტურ წერილებზე დაკვირვებით დავადგინოთ, რა საკითხები მიაჩნდა ნიკო ნიკოლაძეს განსაკუთრებული ყურადღების საგნად. გავეცნოთ მის შეხედულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით - იქნება ეს პოლიტიკა, საბანკო რეფორმები თუ, რაც ყველაზე არსებითია, ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობის როლი ერის ცხოვრებაში.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში მოვიძიეთ და დავამუშავეთ ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხებოდა ჩვენს საკვლევ თემას. ეს დაგვეხმარა მასალის ორგანიზებასა და სისტემატიზებაში. გამოვიყენეთ როგორც დესკრიფციის, ასევე - ტიპოლოგიური კვლევის მეთოდი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო მასალა მოიძებნება ნიკო ნიკოლაძის შესახებ. ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან იწერებოდა მასზე წიგნები. ერთ-ერთი პირველია ზაქარია ჭიჭინაძის მონოგრაფია „ნიკო ნიკოლაძე“ (1897), რომელშიც ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. სხვადასხვა დროს ნიკო ნიკოლაძეზე წერდნენ სიმონ ხუნდაძე, დავით გამეზარდაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ოთარ ჯანელიძე, მერი საჯაია, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ივანე ამირხანაშვილი, მერაბ ვაჩნაძე და სხვანი. ვრცლად საუბრობს ნიკო ნიკოლაძის ჟურნალისტურ ღვაწლზე ალ. კალანდაძე ნაშრომში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. აბესალომ იოვიძის ნაშრომში კი საინტერესო ინფორმაციაა მოწოდებული ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულების შესახებ ცენზურასა და ცენზორებთან; „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხების“ V ტომში ნიკო ნიკოლაძის შესახებ ძალზე ღირებული და საინტერესო მასალა აქვს შეკრებილი ქალბატონ დალი ჩიკვილაძეს.

წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია ჟურნალ „კრებულში“ დაბეჭდილი მხატვრული ლიტერატურის გაანალიზება სიხშირის ცხრილის საფუძველზე შედგენილი დიაგრამების მონაცემების მეშვეობით. მსგავსი რამ დღემდე შექმნილ არცერთ სამეცნიერო ნაშრომში არაა წარმოდგენილი და საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ერთგვარი პანორამული სურათი ობიექტური დასკვნების გამოსატანად.

I თავი. ნიკო ნიკოლაძე - „თერგდალეული“ და მეორე დასის ლიდერი

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა „თერგდალეულთა“ თაობამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული საზოგადოების აზროვნება. ეს ახალგაზრდები თავიანთ მოსაზრებებს იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში - „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“ - დაბეჭდილ თხზულებათა მეშვეობით აცნობდნენ მკითხველს. ცხადაა, მათ რიგებში იყო ნიკო ნიკოლაძეც.

„თერგდალეულთა“ მოძრაობის დასაწყისად მიჩნეულია 1861 წელი, როცა ჟურნალ „ცისკარში“ (#4) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის სტატია - „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის მიერ „კობლოვიდამ „შემლილის“ თრავმანზედა“.

„თერგდალეულები“ საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის შეცვლასა და განახლებაზე ოცნებობდნენ, ეს კი განათლების გარეშე შეუძლებელი იყო. ისინი არა მხოლოდ თეორიულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ამ საკითხზე, არამედ პრაქტიკულადაც იღვწოდნენ. განათლება რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, „თერგდალეულებმა“ გაატარეს ენის ძირეული რეფორმა - სალიტერატურო-სამეცნიერო ენა დაუხალოვეს ხალხის მეტყველებას.

„თერგდალეულები“ ზოგადად, ხელოვნებას და კონკრეტულად მწერლობას ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდნენ. ეს შეხედულება მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა ნაწერებში.

„თერგდალეულები“ მკაცრად აკრიტიკებდნენ ბატონყმობას და მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ბატონყმობის გაუქმებისათვის ხალხის მენტალურად შემზადება. შეხედულებათა შეცვლაში და ახალი ცნობიერების ფორმირებაში მართლაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერლობამ. ქართულ სინამდვილეში ამ მხრივ არსებითი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლისა და სხვათა მხატვრულ-პუბლიცისტური ნაშრომების როლი.

„თერგდალეულთა“ პოლიტიკური იდეალი იყო საქართველოს ავტონომია. მათი აზრით, ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კოლონიას წარმოადგენდა, ცხოვრობდა უაღრესად ჩამორჩენილ ფეოდალურ წეს-წყობილებაში, იყო ეკონომიკურად გაღარიბებული და განათლებით ბევრად ჩამორჩებოდა იმდროინდელ მონინავე ქვეყნებს, ცხადია, ერთბაშად ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. ამისთვის ხანგრძლივი მომზადება იყო საჭირო, რისთვისაც იდეალურ პირობებს შექმნიდა ავტონომია. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიური საქართველო ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო კუთხით, კულტურულად და განათლებით კარგად მომზადებოდა, შემდეგ კი სრულ დამოუკიდებლობასაც ადვილად მოიპოვებდა. სამწუხაროდ, „თერგდალეულთა“ ამ მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა.

„თერგდალეულობამ“, როგორც საზოგადოებრივმა მოძრაობამ, ცოტა ხანს იარსება და 70-იანი წლების დასაწყისში მოქმედება შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, მოძრაობის

წევრები მთელი ცხოვრება ცალ-ცალკე მაინც აქტიურად მოღვაწეობდნენ მწერლობაშიც და საზოგადოებრივ ასპარეზზეც.

ცნობილია, რომ „თერგდალეულთა“ მოძრაობის დაშლას რამდენიმე მოვლენამ შეუწყო ხელი: 1. „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე დუშეთში დაინიშნა და მიუხედავად ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქტიური თანამშრომლობისა, მაინც მოსწყდა ცენტრს; 2. 60-იანი წლების ბოლოს ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრნენ. ევროპული სამყაროს გაცნობამ მათ მსოფლმხედველობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. ისინი დარწმუნდნენ, რომ საქართველო განვითარების ევროპულ გზას უნდა დასდგომოდა, რათა მარადიული ჩამორჩენისათვის დაეღწია თავი. საქართველოს არჩევანი რუსულ და ევროპულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემათა შორის უნდა გაეკეთებინა, ასევე ცხარე კამათს იწვევდა დაჯგუფების წევრებს შორის. 3. 1871 წელს კავკასიაში იმპერატორ ალექსანდრე II-ის სტუმრობასაც კამათი მოჰყვა - სხვადასხვა პოზიციებზე აღმოჩნდნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. 4. ამ ორ მოღვაწეს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა უთანხმოება ბანკის წესდების გამო და ა. შ.

ხსენებულ და კიდევ სხვა წვრილმან თუ მსხვილმან დაპაირისპირებათა გამო, „თერგდალეულთა“ მოძრაობა ნელ-ნელა დაშალა. ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა 70-იანი წლების დასაწყისში ახალ დაჯგუფებას, „მეორე დასს“, ჩაუყარეს საფუძველი.

„თერგდალეულთა“ დასებად დაშლის თეორია ეკუთვნის გიორგი წერეთელს. მან 1897 წელს გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა დასების სქემის საბოლოო ვარიანტი: „პირველი დასი“ 60-იანელთა ის თაობაა, რომელიც, „საქართველოს მოამბის“ გარშემო გაერთიანებლი; „მეორე დასი“ - „დროება“ - „კრებულის“ ჯგუფია, რომელშიც შედიოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ვ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი,

აკ. წერეთელი. ეს დასი 1869-1877 წლებში არასებობდა. იყო კიდევ ერთი, სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, ანუ „მესამე დასი“ („კვალი“ 1897: #46)

პირველდასელოთა მთავარი მახასიათებელი, გიორგი წერეთლის აზრით, იყო ანტიბატონყმური იდეოლოგია და პატრიოტიზმი. გ. წერეთელმა ამ დასის მეთაურის, ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება ცხოვრების სინამდვილისაგან მოწყვეტილ, ტენდენციურ მიმართულებად გამოაცხადა. მეორე დასს შემდგენაირად აფასებს გიორგი წერეთელი: „ლიტერატურაში ეს დასი იყო შეუფარავი რეალიზმის მიმდევარი, სოციალური კონფლიქტის მოგვარების საკითხში სახელმწიფოს მიერ შესატყვისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას მოითხოვდა; უარყოფდა წოდებათა განკერძოების პრინციპს და მთელი ერის ინტერესებს ემსახურებოდა; საადგილმამულო ბანკების ნაცვლად იგი მოკლევადიანი სამრეწველო ბანკების უპირატესობას აღიარებდა; ყველაზე პროგრესული მმართველობის ფორმად მიაჩნდა დემოკრატიული წეს-წყობილება“ („კვალი“ 1897: #46). ის თავის თავს მეორე დასის წევრად მიიჩნევს, ხოლო მის მოთავედ ნიკო ნიკოლაძეს ასახელებს.

ჯერ კიდევ 1866 წელს უენევაში ნ. ნიკოლაძემ გამოსცა წიგნი სათაურით „მთავრობა და ახალი თაობა“, სადაც მან უარყო წოდებათა განკერძოება და საერთო კეთილდღეობისთვის მოითხოვა თავადაზნაურობისა და ხალხის ინტერესების შედუღება (ნ. ნიკოლაძე 1962, ტ. I). ნაშრომში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, იგი მკაცრად აკრიტიკებს ხელისუფლების მიერ საქართველოში 1864-65 წლებში განხორციელებულ საგლეხო რეფორმას. (ნ. ნიკოლაძე 1962, ტ. I)

როგორც ლიტერატურულმა კრიტიკოსმა, ნიკო ნიკოლაძემ პირველმა შეიმუშავა „შეუფარავი რეალიზმის თეორია“, რისი მიმდევრებიც იყვნენ „მეორე დასის“ წევრები. ამ თეორიის თანახმად, მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს საზოგადოებას რეალური სურათი, კერძო პირების ნამდვილი მდგომარეობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „მეორე დასის“ სამოქმედო პრინციპები და იდეოლოგია აშკარად განიცდის ნიკო ნიკოლაძის გავლენას, რაც ამტკიცებს მის ლიდერობას ამ დასში. ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ მეორე დასის შექმნამდე გამოავლინა ყველა ის შეხედულება საზოგადოებრივი წყობისა და ცხოვრების შესახებ, რაც შემდეგ სრულად გაიზიარა მეორე დასმა. დემოკრატიული წყობილება, გლეხების უფლებების დაცვა, თანასწორუფლებიანობა, საერობო მმართველობის შემოღება, „შეუფარავი რელიაზმის“ ერთგულება - აი, ყველა ის პრინციპი და მიზანი, რასაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ნიკო ნიკოლაძე და, შესაბამისად, „მეორე დასიც“.

II თავი. ნიკო ნიკოლაძის ჟურნალისტური ღვაწლი

2.1. ნიკო ნიკოლაძე პუბლიცისტი

მეცნიერები „დროებას“ ქართული პუბლიცისტიკის ახალ, მაღალ საფეხურად მიიჩნევენ და ამას, პირველ რიგში, ნიკო ნიკოლაძის დამსახურებად თვლიან. მან ახალი თემები და პრობლემები წარუდგინა ქართველ მკითხველს, დაამკვიდრა მაღალი პუბლიცისტური კულტურა, განამტკიცა მისი მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები, რუსულ და ევროპულ ჟურნალისტიკაში მიღებული ცოდნის დახმარებით მან თავისუფლად მოიხრგო რეფორმატორის როლი. მისი წერილები გამოიჩინა მძლავრი მოქალაქეობრივი პათოსით და დიდ პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე.

„დროება“-„კრებულის“ პუბლიცისტიკა ხელს უწყობდა ხალხის გათვითცნობიერებას ნაციონალურ-სოციალური თვალსაზრისით. ამ ორი გამოცემის იდეური ერთიანობა განსაკუთრებით შესამჩნევია პუბლიცისტიკის დარგში. ის, რაც

გაზეთში „გაკვერით გამოსახვას და დაფასებას პოულობდა“ , „კრებულში“ დაწვრილებითი ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით, ბუნებისა და კაცობრიობის ცხოვრების შესახებ სწავლული გამოკვლევებით“ შექდებოდა („დროება“, 1871, #15).

გაზეთი და ჟურნალი ერთმანეთს ავსებდნენ. გარდა ამისა, როგორც „დროება“, ისე - „კრებული“, თავიანთ თავს „საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ. ორივე მათგანის რედაქცია ცდილობდა ერთ გარკვეულ გზაზე დაეყენებინა მკითხველი. ჯერ კიდევ საპროგრამო წერილში ნიკო ნიკოლაძე აცხადებს, რომ *„ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდვია, თავისი დამდგარი აზრი აქვს და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის „მიმართულებას“, მის დროშას და ჩვენი „კრებულის“ დარწმუნებულება, რომ... იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს“* (ჟ. „კრებული“, 1871, #3).

ნ. ნიკოლაძე პირველი მოითხოვს არსებულის საპირისპიროდ პრესაში საკუთარი განწყობილებისა და მოაზრების წარმოდგენას, სიტყვისა და მოქმედების მტკიცე თანხმობას. მის სტატიებში პრესას და, განსაკუთრებით, პუბლიცისტიკას ხალხის წინამძღოლის მისია აქვს დაკისრებული. პუბლიცისტიკის მიზანია „მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავისაკენ გადაყვანა,“ - წერდა ნ. ნიკოლაძე.

„დროების“ პუბლიცისტიკაში თაობათა დამოკიდებულების , კერძოდ, „ახალთაობის“ შესახებ მსჯელობას დიდი ადგილი უკავია. ამ საკითხს ნიკო ნიკოლაძემ საგანგებო წერილები მიუძღვნა და „კრებულში“ გამოაქვეყნა: „ჩვენი ახალგაზრდობა“, „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, „საზოგადო საქმეები“, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „ჩვენი მწერლობა“, „ახალი ახალგაზრდობა“.

დადგენილია, რომ ქართველ სამოციანელთათვის იდეურ საფუძველს ქართულ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრება წარმოადგენდა. „კრებულის“ პირველივე ნომერში ნ. ნიკოლაძემ თავისი საპროგრამო ხასიათის წერილი - „საახალწლო“ - ჩერნიშევსკის ვრცელი ციტატით დაიწყო. ამ წერილში ნიკო ნიკოლაძე საუბრობს მომავლის რწმენაზე, რომ ბუნებაში ყველაფერი განახლებადი და ცვალებადია, რომ ცხოვრება მოითხოვს გაუმჯობესებას, განვითარებას. სწორედ ამ განვითარებისაკენ მოუწოდებს ის მკითხველს და შესაბამისი არგუმენტებით უსაბუთებს თავის სათქმელს. ნ. ნიკოლაძის წერილებში იმის ახსნასაც ვპოულობთ, თუ რით იყო გამონწვეული 70-იან წლებში ქართველ სამოციანელთა ერთგულება რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოძღვრებისადმი. მიმოხილვაში „რუსეთის ცხოვრება“ ნ. ნიკოლაძე იმ თემისს ემყარება, რომ „ჩვენი მამულის ბედი და მომავალი მტკიცედ დასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე და რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი აქვს ჩვენი ქვეყნის იღბალზე“. შესაბამისად, ნიკო ნიკოლაძის აზრით, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა თვალს უნდა ადევნებდეს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ნიკო ნიკოლაძის ვრცელ თხზულებაშიც „სხვათა შორის“ რევოლუციონერი დემოკრატების მტკიცე რწმენაა გადმოცემული. ავტორი აღწერს ევროპაში მოგზაურობას, სადაც ის პირადად ესაუბრა ლუი ბლანსა და სხვა თეორეტიკოსებს. ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს მათ შეხედულებებს, თუმცა ბოლომდე არ იზიარებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძისა და მისი დროის სხვა პუბლიცისტთა სოციალური შეხედულებების ძირითად წყაროდ კვლავ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ნააზრევი რჩება და უცხოურ თეორიებს ისინი გაკვირვით იხსენიებენ.

ნიკო ნიკოლაძის და „დროება“-„კრებულის“ სხვა პუბლიცისტთა წერილებში ჩანს, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა

ავტორიტეტის განმტკიცებას. ცდილობდნენ ხალხის პოლიტიკურად გათვითცნობიერებას, მათ გამოფხიზლებას და ამხედრებას გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ. ისინი მკითხველს გამუდმებით ატყობინებდნენ, რომ „*ებლანდელი წესები და ჩვეულებები შეურყეველი არ დარჩებიან*“, რომ - „*ყველა თეორიას იმდენი ფასი აქვს, რამდენათაც ისინი... ვაცობრიონის სამსახურს გვასწავლიან*“ [„კრებული“, 1873, #2, 81]. ნიკო ნიკოლაძე თავის სტატიაში „*ახალგაზრდობის აღზრდა*“ საუბრობს ცოდნის საჭიროებაზე. საუბრობს კლასიკური და რეალური გიმნაზიების, უნივერსიტეტებისა და პროფერული სასწავლებლების დაარსებაზე. ნიკო ნიკოლაძეს მასწავლებლების მთავარ მიზნად მიაჩნია ახალგაზრდებისთვის არა ბრმა მორჩილების სწავლაება, არამედ მათი გონებისა და თვითმოქმედების უნარის განვითარება.

პუბლიცისტებისთვის ასევე მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა სამეურნეო-ტექნიკური საკითხები, პრაქტიციზმი. აქტუალური გახდა იმაზე მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება სამოთხედ აქციოს ადამიანმა ხრიოკი, ჭაობიანი ადგილები. პუბლიცისტიკაში ლამაზმა, მაგრამ უსარგებლო სიტყვამ ფასი დაკარგა და პუბლიცისტი თვითონაც „საქმის კაცად“, პრაქტიკოსად იქცა.

ნიკო ნიკოლაძის წერილის - „*ჩვენი ახალგაზრდობა*“ - ძირითად პათოსს სწორედ პრაქტიკული მოღვაწეობისადმი მისწრაფება წარმოადგენს - მიწა-წყლის გამოყენება, გზების გაყვანა, საავადმყოფოებისა და სკოლების დაარსება. ამავე საკითხებს შეეხება მისი სტატია „*ახალი ახალგაზრდობა*“. ამ ახალგაზრდებისათვის „*პათოსანი მიმართულება მართო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით უნდა გამოიხატებოდეს. ის საქმეს ეძებს და აფასებს.*“

ნიკო ნიკოლაძე „კრებულის“ პუბლიცისტიკაში საერთაშორისო ცხოვრების იმ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისთვისაც აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. იმ წერილებშიც კი, რომლებიც სხვადასხვა ხალხთა შორეულ

წარსულს შეეხებოდა, ავტორები თანამედროვე საქართველოს საჭირობორტო პრობლემებს ეხმიანებოდნენ.

„დროება“ წამოიწყო, ხოლო „კრებულმა“ დაამკვიდრა ქართულ პრესაში საერთაშორისო ინფორმაციის მიმოხილვა, რითაც პოლიტიკური ცნობიერების განვითარებისათვის ვრცელი ასპარეზი გადაუშალა ქართველ მკითხველს.

„დროება“-„კრებულის“ რედაქციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წერილების „თვისებასა და ღირსებას“. პუბლიცისტური სტილის, საერთოდ, პუბლიცისტური ოსტატობის საკითხი აქამდე პრინციპულად არც ერთ ქართულ ორგანოს არ აღუძრავს. რედაქცია და თანამშრომლები გარდა იმისა, რომ იძლეოდნენ პრაქტიკულ ნიმუშებს, თეორიულ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ პუბლიცისტურ ხერხებსა და საშუალებებზე, ავრცელებდნენ რუსული და ვეროპული პუბლიცისტიკის გამოცდილებას. სწორედ ამ საკითხებს მიუძღვნა ნიკო ნიკოლაძემ ვრცელი წერილი „**თანამედროვე მწერლობა**“. ამ სტატიაში დახასიათებულია ევროპული, კერძოდ, ფრანგული პუბლიცისტიკის სტილისტური თავისებურებანი. ნიკო ნიკოლაძეს პუბლიცისტური ხელოვნების მთავარ საიდუმლოებად მიზნისა და შინაარსისადმი ფორმის შესატყვისობა მიაჩნია. მსჯელობს პუბლიცისტიკის სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკის შესახებ, განიხილავს და აფასებს იმ დროის გამოჩენილ პუბლიცისტთა შემოქმედებას. პუბლიცისტიკის სინონიმად ავტორი აქ „პოლიტიკური მწერლობის“ ცნებას იყენებს და მისი შინაარსისა და ფორმის განვითარებით განსაზღვრავს ამა თუ იმ პერიოდში ხალხის საზოგადოებრივ აქტივობასა და ინტელექტუალურ-სულიერ დონეს.

ნიკო ნიკოლაძემ „კრებულში“ ცალკე სტატია მიუძღვნა კრიტიკის მნიშვნელობას ლიტერატურაში. ის კედელს და სახურავს ადარებს ლიტერატურისა და კრიტიკის ურთიერთდამოკიდებულებას. კრიტიკოსის მთავარი დანიშნულება, მისი აზრით, არის საზოგადო ცხოვრების ახსნა, დაკვირვება, დაფასება, ნამდვილი ცხოვრების ნამდვილი გამოსახვა. ნიკო ნიკოლაძე წერს: *„ყოველი კერძო შემთხვევა, მოვლენა ხასიათი,*

მდგომარეობა და სხვა მართო მაშინ ხდება მწერლობის ყურადღების ღირსი, როცა იმას რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს. ყოველი საგანი მით უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსია, რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვნელობა აქვს იმას ცხოვრებაში“ [„კრებული“1871, #3].

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა მტკიცე, პირდაპირი ტონით. ისინი საკითხს მხოლოდ იმ კუთხით და იმ მასშტაბით აშუქებენ, რაც აუცილებელია მკითხველისათვის. ავტორი ზოგჯერ მიმართავს ისეთ პუბლიცისტურ ხერხსაც, როდესაც უშალოდ არ გადმოგვცემს სათქმელს, მაგრამ სათანადო სიტუაციის შექმნით აგებინებს მკითხველს თავის აზრს.

„კრებულის“ პუბლიცისტები ე.წ. სამგზავრო წერილების ფორმით დანერჩილ თხზულებებში ეწევიან ხოლმე ახალი იდეების პროპაგანდას, მაგ.: ნიკო ნიკოლაძის „სხვათა შორის“, ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, გ. წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბიკა“...

ალექსანდრე კალანდაძის აზრით, დადებით ტრადიციებთან ერთად, „დროება“- „კრებულის“ პუბლიცისტიკაში აღინდელი, „ცისკრისთვის“ დამახასიათებელი სტილის ზოგიერთი თავისებურებაც გადმოვიდა. კერძოდ, ცალკეულ ადგილებში თხრობის გაჭიანურება, მკითხველთან ზედმეტი ფამილარობა და ა. შ. მართალია, პრობლემემატიკის გართულებისა და ანალიზის გაღრმავების მიუხედავად, პუბლიცისტიკის ენა წინანდელზე მეტად დაუახლოვდა სალაპარაკო მეტყველებას, მაგრამ ხშირად გვხვდება პროვინციალიზმები (იმერიზმები) და ბარბარიზმები.

„დროება“- „კრებულის“ გამოცემის პერიოდში ბატონყმობა ახალი გაუქმებული იყო, ამიტომ ამ გამოცემებში დაბეჭდილი სტატიების უმეტესობაში მსჯელობა სწორედ ბატონყობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათსა და ტენდენციებს შეეხება. „რეფორმის“ შემდეგ მწვავედ დაისვა გლეხთა მდგომარეობის საკითხი.

ასევე, „კრებულის“ პუბლიცისტიკის უმთავრეს თემას წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ როგორ ჩამოყალიბდება ბურჟუაზიული წყობილება საქართველოში. ვაჭრობა, ფული, რკინიგზა „კრებულის“ პუბლიცისტებს სამრეწველო განვითარების პირობად მიაჩნათ და უმთავრესი მათთვის საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაა. ნ. ნიკოლაძის ნარკვევში „სხვათა შორის“ ფაბრიკანტი და მისი თანაგზავრები მსჯელობენ მრეწველობის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე. პუბლიცისტი უჩვენებს მკითხველს, თუ რა უპირატესობა გააჩნია კაპიტალისტურ წარმოებას ფეოდალურ მეურნეობასთან შედარებით.

ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტიხალხურ ხასიათს პუბლიცისტები მკითხველს აჩვენებენ ინგლისის, გერმანიისა და, განსაკუთრებით, საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მაგალითებითა და ანალიზით. სწორედ ამ მიზნით ნიკო ნიკოლაძემ მოგვცა საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების, ბურჟუაზიული რევოლუციების ამომწურავი დახასიათება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან პარიზის კომუნამდე. ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრებაზე დაკვირვებას ქართველი პუბლიცისტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ეკონომიკური ბატონობა პოლიტიკური ბატონობის საფუძველს წარმოადგენს.

„კრებულსა“ და „დროებაში“ ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები საბანკო საკითხებზე. 1870 წელს ნ. ნიკოლაძემ „დროებაში“ დაბეჭდა სტატია „**ბანკის თაობაზე**“. ავტორი საზოგადოებას აფრთხილებს, რომ კრედიტის არამიზნობრივი გამოყენების მიზეზით ბანკი იძულებული გახდება, გირაო გაყიდოს და ეს დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყანას, რადგან ეროვნული მინა-წყალი ფულიანი ხალხის - უცხო ვაჭრების ხელში გადავა („დროება“, 1870, #17).

„დროება“-„კრებულის“ პუბლიცისტებმა წამოაყენეს საქართველოს სოციალური ისტორიის შექმნის საკითხი, მოითხოვეს ხალხის, როგორც ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალის ჩვენება. პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა ნიკო ნიკოლაძის

სიტყვებს: „ჯერჯერობით, საქართველოს ხეირიანი ისტორიის დანერა შეუძლებელია, ჩვენ გვაკლია მასალები, რომლის შემწეობით ჩვენ უნდა შეგვეძლოს აზრის შედგენა მაშინდელი ხალხის მდგომარეობაზე, მოქმედებაზე და მიმართულებაზე, მაშინდელ ჩეულებებზე და ზნებზე... რა სჭიროდა, რა უნდოდა ხალხს, რას ეძებდა, რას არა, ხალხი ხომ ისტორიის პირველი მოქმედი პირია და რანაირად დაინერება ისტორია თუ მის პირველ მოქმედ პირზედ სრულიად არაფერი გავება გვაქვს“ [„ჩვენი მწერლობა“, „დროება“, 1872წ., #10, 12].

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკის პრინციპი არის სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. „კრებულში“ დაბეჭდილი სტატიების საშუალებით ის ცდილობდა მკითხველს დახმარებოდა გარკვეული ცოდნის მიღებაში და მოუწოდებდა მას განათლების მიღებისკენ. სწორედ მისი დამსახურებით ეცნობოდა ქართველი მკითხველი „დროება“-„კრებულის“ ფურცლებიდან ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

ნიკო ნიკოლაძე ცდილობდა ქართული ლიტერატურული ძეგლების სწორდ გააზრების კულტურის დამკვიდრებას. სწორედ ამის გამო ბეჭდავდა ის „კრებულში“ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს, სადაც აანალიზებდა და აფასებდა თანამედროვე თუ კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს. ის პრაქტიკული აქტიურობისა და მოქმედების მაგალითს აძლევდა ქართულ საზოგადოებას როგორც სიტყვით ისე -საქმით.

2.2. ნიკო ნიკოლაძე რედაქტორ-გამომცემელი

ნიკო ნიკოლაძე თავიდანვე დაინტერესებული იყო ჟურნალისტური და საგამომცემლო საქმიანობით. ეს იმითაც დასტურდება, რომ ოცი წლის ყმანვილი 1863 წლის 13 მაისს კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა, რომ ოცნებობდა ქუთაისში

ტიპოგრაფიის დაარსებაზე, სადაც უბრალო ხალხისათვის ანბანს, არითმეტიკის სახელმძღვანელოს და სხვა სასარგებლო წიგნებს დაბეჭდავდა. ასევე, იმედოვნებდა, რომ ერთი პატარა პოლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთის გამოცემას მაინც შეძლებდა, რაკილა ოჯახის მმატერიალური მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

ნიკო ნიკოლაძეს უურნალისტური საქმიანობის წამოწყებაში ბევრი რამ უშლიდა ხელს, თუმცა არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ის მაინც გულმოდგინედ ეკიდებოდა საქმეს: *„ჯერ სწავლავ არ ჰქონდა მოთავებული, რომ მიხეილ კონსტანტინეს ძე ელპიდინთან ერთად ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას შეუდგა“* [ა. ბაქრაძე 1989: 90] - აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე.

25 წლის ასაკში კი, 1868 წელს, ნიკო ნიკოლაძე ლევ ილიას ძე მეჩნიკოვთან ერთად პატარა უურნალის, „სოვრემენნოსტის“ ბეჭდვას შეუდგა. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მან სამშობლოში დააპირა გაზეთის ან უურნალის გამოცემა, თუმცა რამდენჯერაც ითხოვა მთავრობისგან ამის ნებართვა, იმდენჯერ უარი მიიღო. მას არ ენდობოდნენ 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას სტუდენტთა ამბოხში მონაწილეობის გამო; გარდა ამისა, ის უენევაში რევოლუციური მიმართულებების ბროშურებს გამოსცემდა, 1866 წელს კი ნიკიფორე გ**⁻ს თსევედონიმით დაბეჭდა ხელისუფლების საწინააღმდეგო ბროშურა, სათაურით „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელიც 1866 წლის 4 აპრილის გასროლას ეხება. ყოველივე ამის გამო მასზე დაწესდა თვალთვალი.

ნ. ნიკოლაძე მაინც არ კარგავდა გაზეთს გამოცემის იმედს. მაშინაც კი, როცა 1873 წლის მაისში უცხოეთიდან შინ დაბრუნებისას გაჩხრეკისას უპოვნეს ლითოგრაფიული დაზგა, ფილოსოფიური და სოციალური ხასიათის წიგნები და, რაც ყველაზე მთავარია, ორგანიზაცია „უღელის“ სხდომის ოქმი, არ დაუყრია ფარ-ხმალი და კავკასიის მეფისნაცვალს გამუდმებით აკითხავდა გაზეთის გამოცემის ნებართვის მოთხოვნით.

მთავრობას ზოგადად არ აძლევდა ხელს კავკასიაში ადგილობრივი გაზეთისა თუ ჟურნალის არსებობა. 1876 წლის 9 აპრილს კავკასიის საცენზურო კომიტეტი მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს აუწყებდა: „...ადგილობრივი კერძო გამოცემები არიან იმ ადამიანთა ხელში, რომელთა უმრავლესობას ან არა აქვს სერიოზული სამეცნიერო მომზადება, ან გატაცებული არიან უპირატესად თანამედროვე ცრუ მოძღვრებითა და იდეალებით. აი, ამიტომ არის, რომ პრესის ადგილობრივ ორგანოებში საცენზურო კომიტეტს საქმე აქვს სტატიებთან (სულერთია, იქნება იგი საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია თუ პრესის სხვადასხვა ორგანოდან ამოღებული ან დამოუკიდებელი შენიშვნა), სადაც აშკარად თუ ქარავმულად გატარებულია ჩვენი სახელმწიფოს ახლანდელი წესწყობილების სანინააღმდეგო აზრი, ხოლო ის მამხილებელი წერილები, რომელნიც მიმართული არიან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ პირთა და დანესებულებათა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ხშირად მიზნად ისახავენ არა ჭეშმარიტების დადგენას, არამედ სისტემატურად ცდილობენ ჯკუა-გონების აღგზნებას და უნდობლობის დანერგვას. იმ აღწერებში კი, რომელნიც ეხებიან ადგილობრივი ცხოვრების რაიმე მდგომარეობა-ვითარებას, თხრობის ტონითა და ფორმით დაშვებულია პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელი, უხეში და უადგილო გამოხდომები. ადგილობრივი პრესის ასეთი მიმართულება შეუძლებელია, მავნე გავლენას არ ახდენდეს მკითხველთა უმრავლესობაზე. ამასთან ერთად, ადგილობრივი კერძო გამოცემების რედაქტორები სარგებლობენ საცენზურო წესდების ზოგიერთი მუხლის არამკაფიოობით, ცოტას ან სრულებით არ ცდილობენ ჩასწვდნენ კანონის საერთო აზრს, რის გამოც გამუდმებით ედავებიან საცენზურო კომიტეტს“ [საისტორიო მოამბე 1945:57].

ასეთ მძიმე ვითარებაში ნიკო ნიკოლაძეს დროებით დამორჩილდა ბედს და გაზეთ „დროებაში“ დაიწყო თანამშრომლობა. სერგეი მესხი და ნიკო ნიკოლაძე

შეთანხმდნენ: გაზეთის ერთ ნომერს გამოსცემდა მესხი, მეორეს - ნიკოლაძე. ეს შეთანხმება დიდხანს არ გაგრძელდა და 1870 წელის ბოლო ახალი ჟურნალი „კრებული“ დაარსდა.

ნიკო ნიკოლაძეს, როგორც რედაქტორსა და გამომცემელს ჟურნალის მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა „საზოგადოების ბედნიერება“ და განათლების პროპაგანდა: „რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემხუთველი დაბრკოლებები მოიცილოს, რაკი ამ საქმისათვის აუცილებლად საჭიროა ხეირიანი ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი, - უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისათვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა გზით და რანაირად შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლო მოხმარება“ [„კრებული“, 1871, #3].

ნიკო ნიკოლაძის კიდევ ერთი მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდობის დარაზმვა არსებული წყობილების წინააღმდეგ. ის ცდილობდა თავისი წერილებით რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და გარკვეული გეზი მიეცა მათთვის. სტატიაში „ახალი ახალგაზრდობა“ ნიკოლაძე წერდა: „ეს ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ; ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი იმედით, თავისი მხურვალე სურვილით და აღტაცებით გვაახლოვებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულმომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში თეხი შევადგით... ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაშია მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება...“ [„კრებული“ 1873, #1]. როგორც ჩანს, ნიკოლაძე საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებასა და მეთაურობას ახალთაობის ინტელიგენციას აკისრებდა. ის ადარებდა 1861 წელს სამოღვაწეოდ გამოსულ ახალთაობასა და 70-იან წლების ახალთაობის ინტელიგენციას და წერდა: „ჩვენში 1861 წლის თაობას, ისეთი წევრები სჭირდებოდა,

რომელნიც დამზადებული და გაჩვეული ყოფილიყვენ მაშინდელი საზოგადოებრივი საქმეების მართვაში; საუბედუროთ, ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა... იმას ვაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა, თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა...“ [„კრებული“, 1873, #1]. 70-იანი წლების თაობას კი ავტორი უფრო პრაქტიკულ, მტკიცე და მებრძოლ ახალგაზრდებად მიიჩნევს.

ნიკო ნიკოლაძე რედაქციაში არანაირი საქმის კეთებას არ თაკილობდა: არედაქტირებდა რედაქციაში შემოსულ სტატიებს, ასწორებდა კორექტურას და ზოგჯერ ასოთმწყოობდა კიდევ. ამ ენერგიულ და დაუღალავ ადამიანს, როგორც წესი, წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმა ჰქონდა ხოლმე და ამის გამო ძნელად ეგუებოდა სხვებთან თანამშრომლობას. მისი ოცნება იყო, გამოეცა საკუთარი გაზეთი. ამის საჭიროებაში კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა „ტიფლისისკი ვესტნიკის“ რედაქციასთან მომხდარმა უთანხომებამ. ნიკო ნიკოლაძემ 1877 წლის 23 ივლისს კიდევ ერთხელ აახლა თხოვნა კავკასიაში მეფინანსვლის თანაშემწეს: „კავკასიაში ჩემი ათწლიანი ლიტერატურული საქმიანობა თვალნათლივი დადასტურებაა ჩემი ზომიერებისა და უვნებლობისა. საცენზურო კომიტეტს სრული რწმენით შეუძლია თქვას, რომ ჩემს წერილებში არასოდეს მომინოდებია ტომობრივ ვნებათა გაღვივებისაკენ. არ მქონია სისტემატური მტრული დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი მოვლენისადმი. უმეტესწილად მშვიდად განვიხილავდი ეკონომიკურ და ლიტერატურულ საკითხებს, რომლებიც ჩვენში დაისმებოდა... ჩემი საკუთარი მიმართულების საფუძველი იყო და არის იმედი: მივალწიო ჩემი შეხედულებების გამარჯვებას ერთადერთი გზით - დაჯერება-დარწმუნებისა და საზოგადოებაში

განათლების დონის ამაღლების გზით. თუ გაზეთის გამოცემის ნებას მაინც არ მომცემთ, მაშინ პეტერბურგში ან უცხოეთში ცხოვრების უფლება მაინც მიბოძეთ, რომ ლიტერატურული შრომით თავის რჩენა შემეძლოს“ [საისტორიო მოამბე 1946:65].

მეფისნაცვლის მთავარმა სამმართველომ კავკასიის საცენზურო კომიტეტს ნიკო ნიკოლაძის პიროვნებისა და მისი სალიტერატურო მოღვაწეობის დახასიათება მოსთხოვა. ცენზორმა სულეიმან ხან მელიქ-მელაბოვმა ნიკო ნიკოლაძე დადებითად დაახასიათა, შედეგად 1878 წლის პირველ იანვარს საზოგადოებამ რუსულენოვანი გაზეთის, „ობზორის“ პირველი ნომერი მიიღო. გაზეთმა დიდხანს ვერ იარსება. ის 1880 წელს დახურა ხელისუფლებამ, ნიკო ნიკოლაძე კი სტავროპოლში გაგზავნეს.

1887 წელს ნიკოლაძემ ა. სტეჰანოვისაგან შეიძინა „ნოვოე ობოზრენიე“. ის ჩვეული ენერგიითა და ინტერესით შეუდგა საგამომცემლო საქმიანობას. მოგვიანებით, 1891 წელს ნიკო ნიკოლაძე აქედანაც წავიდა და ამის მერე მას საგამომცემლო საქმიანობისათვის დიდხანს აღარ მოუკიდა ხელი.

1926 წელს ოთხმოცდაორი წლის მოხუცმა ერთხელ კიდევ იკისრა სათავეში ჩასდგომოდა საგამომცემლოსაქმიანობას. იმ ხანებში შეიქმნა ბეჭდვითი საქმის ორგანიზაცია „ქართული წიგნი“, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა ნიკო ნიკოლაძე.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ნიკო ნიკოლაძის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის მაღალ პროფესიონალიზმს. ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეუდგა ჟურნალისტურ-რედაქტორულ მოღვაწეობას და მიზნად დაისახა ამ გზით ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების გამიფხიზლება, მათთვის ანალიტიკური აზროვნებისა და სწორი განსჯის უნარის გამომუშავება, მოქმედებისკენ სწრაფვისა და ცოდნის მიღების დაუოკებელი სურვილის აღძვრა. უამრავი პრობლემისა და დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა ნიკო

ნიკოლაძეს საკუთარი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად თავისი რედაქტორული მოღვაწეობის პერიოდში. ის საქმეს ახმარდა არა მხოლოდ თავის ცოდნასა და ენერგიას, არამედ მატერიალურადაც დიდ დახმარებას უწევდა ჟურნალ-გაზეთებს. ნიკო ნიკოლაძემ სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა საყვარელ საქმეს.

2.3. ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა

რუსეთში პირველი საცენზურო წესდება 1804 წელს გამოიცა. 1826 წელს იგი შეიცვალა ახალი წესდებით, რომელსაც განსაკუთრებული სიმკაცრის გამო „თუჯის“ წესდებას უწოდებდნენ. 1828 წელს ისევ გამოიცა ახალი, ოდნავ შემსუბუქებული წესდება, რომელიც მოქმედებდა ცარიზმის დამხობამდე. ცენზურა მეფის მთავრობის ხელში მძლავრი საშუალება იყო პროგრესული აზრის მქონე ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის წინააღმდეგ. 1865 წელს გამოიცა ახალი „დროებითი წესები“ ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელიც პრესას ე.წ. „თუჯის წესდების“ ეპოქასთან შედარებით მეტ თავისუფლებას ანიჭებდა. „დროებითი წესები“ პერიოდულ გამოცემათა უმრავლესობას ათავისუფლებდა წინასწარი ცენზურისაგან და მის ნაცვლად ე.წ. დამსჯელი ცენზურა იქნა შემოღებული. დაპყრობილ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე კი ეს წესები არ მოქმედებდა და დატოვებული იყო წინასწარი ცენზურა.

„დროება“ პირველი ქართული პოლიტიკური გაზეთი იყო. ეს მეთაურებს ავალდებულებდა ფართოდ გაეშუქებინათ შინაური და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. ხელისუფლებამ იცოდა, რომ გაზეთს წარმართავდა დემოკრატიულად მოაზროვნე და მოქმედი ჯგუფი, რომელთაგან ბევრი მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის დასჯილი და „არაკეთილსაიმედოდ“ მიჩნეული პირი იყო, ამიტომ მთავრობა უკიდურესი უნდობლობით ეკიდებოდა გაზეთს.

მკითხველი კი მოითხოვდა არა ქარაგმულ, არამედ პირდაპირ და მამხილებლურ სიტყვას.

რედაქციას მხოლოდ ოფიციალური წყაროებით სარგებლობის უფლება ჰქონდა საერთაშორისო ინფორმაციის შესარჩევად, თუმცა ამ მოთხოვნას ხშირად არღვევდნენ და არა მარტო ნებადაურთველი წყაროებიდან ამოკრებილ მასალებს ბეჭდავდნენ, არამედ საკუთარ შეხედულებებსაც აქვეყნებდნენ ცალკეულ პოლიტიკურ მოვლენებზე.

ნიკო ნიკოლაძე მთელი თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში გამუდმებით ებრძოდა თვითმპყრობელური მთავრობის პოლიტიკურ რეჟიმს. ის სხვადასხვა ხერხით ცდილობდა არ დამორჩილებოდა ცენზურის უსამართლო მოთხოვნებს, რის გამოც მას ხშირად ექმნებოდა პრობლემები, თუმცა ზოგჯერ მაინც ახერხებდა ცენზურისათვის თვალის ახვევას. სწორედ ასე მოახერხა მან 1871 წელს გამოექვეყნებინა ცენზურის მიერ აკრძალული ილიას ცნობილი ლექსი „მესმის მესმის“; შეძლო თავისი წერილის - „სხვათა შორის“ - დაბეჭვა, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა მეფის ცენზურა. ნიკოლაძემ ცენზორთა თვალის ასახვევად თხრობა ოსმალეთში გადაიტანა: *„სტამბოლის გაზეთები, საზოგადოდ უფერული არიან. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ცენზურაა, რომელიც იმათ ხმას როდი აღებინებს იმ კითხვებზე და საქმეებზე, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეეხებიან აქაურ საზოგადოებას და ხალხს. გაზეთის ძალა და გავლენა ყოველთვის იმაზეა დამყარებული, რომ მკითხველი შივ იმ კითხვების პასუხებს ეძებს, იმ საქმეების გაცნობას ცდილობს, რომელთაც მის ტვინზე, ჭიბებზე და ბედზე გავლენა აქვთ. აქაურ გაზეთებში კი, თურმე, ყველაფერზე შეიძლება წერა, ოღონდ მწერალი არც სულთანის მართვას შეეხებოდეს, არც მისი ინტერესების მოქმედებას, არც მათი ხელქვეითების საქციელს, არც საზოგადო მოთხზნილების გამოსახვას, არც ხალხის გაჭირვების ხსენებას, არც ფულების ფანტვას, არც კანონების ნაკლულევაანებას, არც საზოგადო საქმეების უთავბოლო წაყვანას, არც*

ნარსულის უხეირობას, არც მომავლის უიმედობას; დანარჩენებზე კი აქაურ გაზეთებს თავისუფლად შეუძლიათ წერა-ბეჭდვა... ამ აზრით მე შევიძლებოდი, ანდა უურნალისტობას თავს დავანებებდი, მაგრამ აქაური უურნალისტები ასე არ ფიქრობენ. ისინი ამბობენ: ცოტა რასმე მაინც წავიჩურჩულებთ, იქნება ვინმემ კიდეც გაიგონოს, ვისაც ფხიზელი სმენა და მარდი მიხდომა აქვსო.“ [„დროება“, 1873]

70-იანი წლების მეორე ნახევარში ცენზურა კიდეც უფრო გამკაცრდა. კომიტეტის განკარგულებით რამდენჯერმე გაანადგურეს გაზეთის მთელი ტირაჟი. ასე, მაგალითად, საცენზურო კომიტეტმა კონფისკაცია გაუკეთა „დროების“ 1879 წლის 249-ე ნომერს, რომელშიც ცენზურის მიერ დაწუნებული ადგილები გაუსწორებლად დაიბეჭდა.

80-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთში ყოველგვარი პროგრესული აზრის სასტიკი დევნა დაიწყო. ამგვარმა პოლიტიკამ ყველაზე დიდი ზიანი უურნალისტიკას მიაყენა. ცენზურა განსაკუთრებით ულმოხელი სწორედ მაშინ გახდა, როცა „დროებას“ სათავეში ი. მაჩაბელი ჩაუდგა. საცენზურო წესდების დარღვევისა და აშკარა რადიკალიზმის გამო 14 სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, გაზეთის გამოცემა შეწყდა. „დროება“ მე-19 საუკუნის პირველი ქართული გამოცემაა, რომელიც ცენზურამ იმსხვერპლა.

განსაკუთრებით მკაცრი და შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა მეფის ცენზურასა და ნიკო ნიკოლაძეს შორის, როდესაც ის გაზეთ „ობზორის“ რედაქტორი გახდა. დაუმორჩილებლობისა და გაზეთში მთავრობის საწინააღმდეგო წერილების მოთავსებისათვის „ობზორი“ მალევე აკრძალეს, რედაქტორი კი სტავროპოლში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგში მოღაწეობდა, სადაც მან უშედეგოდ სცადა „ობზორის“ განახლება .

1881 წელს ნ. ნიკოლაძე „ოტეჩესტვენისე ზაპისკის“ მუდმივი თანამშრომელი გახდა . 1883 წელს მან აქ გამოაქვეყნა წერილი „ლუი ბლანი და გამბეტა“, რის გამოც

ჟურნალი აკრძალეს. პეტეზურგიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1887 წლიდან ნიკოლაძე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ხელმძღვანელობდა, თუმცა დროთა განმავლობაში საერთოდ ჩამოსცილდა სალიტერატურო მოღვაწეობას და პრაქტიკულ-საზოგადოებრივ საქმიანობას მიჰყო ხელი.

III თავი. ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში“

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობით. ქართული რეალისტური ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, თეატრი, დრამატურგია, კრიტიკა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებითად ამ პერიოდის მონაპოვარია.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ 1865 წლის შემოდგომაზე, გ. წერეთელმა და სტ. მელიქიშვილმა კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს (რომანოვს) ყოველკვირეული ქართული გაზეთის დაარსების შესახებ ოფიციალური თხოვნით მიმართეს. თან წარუდგინეს გაზეთის პროგრამა, რომლის მიხედვითაც გაზეთს ექნებოდა შემდეგი განყოფილებები:

1. მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის
2. მეცნიერებისა და ხელოვნების
3. მხატვრული ლიტერატურისა და ფელეტონის
4. კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის
5. სახაზინო და კერძობითი განცხადებების

მთავარმა სამმართველომ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და გაზეთის პირველი ნომერი 1866 წლის 4 მარტს გამოვიდა. მას ხელს აწერენ: რედაქტორი გიორგი წერეთელი და გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

1866 წლის ნომრები შინაარსობრივად მწირია - ძირითადად წარმოდგენილია უცხოეთის ოფიციალური კორესპონდენციები და ადგილობრივი განცხადებები;

უმნიშვნელო ადგილი უკავია ორიგინალურ მასალას, ყველა გაზეთი იწყება ნომრის სარჩევითა და ხელმოწერის პირობებით.

არსებობის მანძილზე „დროებამ“ ხუთი რედაქტორი გამოიყვალა:

გიორგი წერეთელი - 1866-1869 წწ.

სერგეი მესხი - 1869-1873 და 1874 – 1883 წწ.

კირილე ლორთქიფანიძე - 1873 – 1874 წწ.

ილია ჭავჭავაძე (სერგეი მესხთან ერთად) – 1880 – 1882 წწ.

ივანე მაჩაბელი - 1883 – 1885 წწ.

როგორც ვხედავთ, ამ ნუსხაში არ არის ნიკო ნიკოლაძე, თუმცა ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 1870 წელს ის სერგეი მესხის თანარედაქტორი იყო. ამ პერიოდში დაბეჭდა მან გაზეთში ორი სტატია. „დროების“ 1870 წლის 39-ე ნომერში გამოქვეყნებულია წერილი „ქართული ხასიათი რუსულ წარმოდგენაში“. მასში ავტორი საუბრობს უცხო ერების მიმბაძველობაზე. მისი აზრით, მხოლოდ გარეგნული ბაძვა არაფერს იძლევა, თუ ერის ხასიათი ვერ დაინახე; 1870 წლის 51-ე ნომერში კი დაბეჭდილია „ფელეტონისტის გოდება“. აქ საუბარია საზოგადო პრობლემაზე - როცა მკითხველის აზრი და გონება ვერ სწვდება გამოქვეყნებული მასალის არსს, ვერ იგებს აზრს სწორად და ნაკითხულიდან არასწორი, შეუსაბამო დასკვნები გამოაქვს.

„დროებამ“ 70-იანი წლებიდან მძაფრად იგრძნო რედაქციის შექმნის საჭიროება. 1876 წლის ივნისში სარედაქციო კოლეგიის წევრობის კანდიდატებად დაუსახელებიათ ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩქოტუა, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, ბეს. ლოლობერიძე და ნ. ლოლობერიძე. მათგან ოთხი - აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ნიკოლაძე და სერგეი მესხი - ამოურჩევიათ. ამასთან დაკავშირებით, ს. მესხს 1876 წლის პირველ მარტს წინასწარ შეუდგენია დროების რედაქციის პირობა. როგორც გაზეთის ლიტერატურულ საქმეებში, აგრეთვე ეკონომიკურში ამ ოთხ წევრს რედაქციისას ერთიანი ხმა და უფლება აქვთ;

რედაქციის რჩევა დანიშნავს ერთ პირს, რომელსაც გაზეთის ეკონომიურ საქმეებს მიაბარებს, ამ რჩევაზეა დამოკიდებული რედაქტორის ამორჩევა, როდესაც ეხლანდელი რედაქტორი სერგეი მესხი, რომელისამე შემთხვევის გამო, დროებით ან სამუდამოდ ამ მოვალეობისაგან ხელს აიღებს; რედაქციის წევრნი ვალდებული არიან: ა. თავის შრომით დაეხმარონ გაზეთის გაუმჯობესებას და წარმატებას ლიტერატურულის მხრივ; ბ. მოსძებნონ საშუალება, რომ მატერიალურის მხრით გაზეთს არავითარი დაბრკოლება არ ექნეს და, საზოგადოდ, ისე იზრუნონ გაზეთისათვის, როგორც თავის საკუთარ საქმისათვის; ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც რედაქციის რჩევაში ატყდება, ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს; თუ რჩევის ხმები თანასწორად გაიყოფა, მაშინ რჩევა მოიწვევს ერთ გარეშე პირს აღძრული კითხვის გადასწყვეტად და ორსავე შემთხვევაში თითოეული წევრი ვალდებულია უმეტესობის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ყოველ წევრს რედაქციისას უფლება აქვს შეაჩეროს გაზეთში დასაბეჭდი სტატია, თუ ის დაინახავს, რომ ამ სტატიის დაბეჭდვა გაზეთში რომელისამე მხრით მავნებელია. ამ შემთხვევაში სტატიის შემჩერებელმა რედაქციის რჩევა უნდა მოიწვიოს, რომელიც გადასწყვეტს, დაიბეჭდოს თუ არა; ამ თავითვე ბეჭდვით უნდა გამოცხადდეს, რომ დღეის შემდეგ „დროების“ რედაქციას ზემოხსენებული ოთხი პირი შეადგენს და გაზეთის საქმეში მკითხველი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ეს პირები არიან.“

ამ პირობას ხელს აწერს რედაქციის ოთხივე წევრი.

რედაქციის წევრებს შორის განხეთქილება 1876 წლის ივნისიდან დაიწყო და ამის მიზეზი ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით, ქუთაისის და თბილისის ბანკის საკითხები გახდა.

IV თავი. ნიკო ნიკოლაძე და ჟურნალი „კრებული“

4.1 დაარსება

„დროება“ „პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი“ იყო და მხატვრულ ტექსტებსაც ხშირად ბეჭდავდა, მაგრამ მცირე ფორმატის გამო, ვცრელი თხზულებების გამოქვეყნება არ შეეძლო. გაზეთის მესვეურებს ლიტერატურული დამატების დაარსება იმთავითვე ჰქონდათ განზრახული. ჯერ კიდევ 1866 წლის 12 იანვარს ნიკო ლოლობერიძე დავით ლოლობერიძეს პეტერბურგში სწერდა, „დროებას“ ლიტერატურული დამატებაც ექნებაო. გამოვა წიგნად, რომელშიც დაიბეჭდება ვრცელი პუბლიკაციები, თარგმანები და ორიგინალები. საცენზურო კომიტეტს უკვე მივმართეთ ამის თაობაზე [ვ. სიფრაშვილი, „უცნობი წერილი“, გაზ. „თბილისი“, 1959 წ., 1/VII „დროება“]. მატერიალური ხელმოკლეობისა და მხატვრული მასალის სიმცირის გამო, „დროება“ დიდხანს ვერ შეასრულა საპროგრამო დაპირება, ვერ გამოსცა ლიტერატურული დამატება.

1869 წელს დაარსდა ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“, რომელსაც „დროების“ გუნდი დაუპირისპირდა და მალე მათ შორის პოლემიკაც გაჩაღდა. დაპირისპირებამ იმთავითვე მწვავე ხასიათი მიიღო. „დროებაში“ ზედიზედ დაიბეჭდა წერილები „მნათობის“ წინააღმდეგ, კერძოდ: ნიკო ნიკოლაძის ბიბლიოგრაფიული

მიმოხილვა (1870, #20), გ. წერეთლის ლექსი „კუხელის სიმღერა“ (1871, #21), „ფუტკარმა უთხრა კრაზანას“ (1871, #33) და სხვა. ამ პუბლიკაციებში მათ ანტ. ფურცელაძეს გაუხსენეს ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ, გააკრიტიკეს მისი ლექსები და მოთხრობები. ამასთან დაკავშირებით წიგნში „ქართული ურნალისტიკის ისტორია“ თამაზ ჯოლოგუა წერს: დაპირისპირება იმდენად მწვავე იყო, რომ კინაღამ სისხლისღვრითაც კი დასრულდა - ა. ფურცელაძემ მელიქიშვილის სტამბაში ტყვია ესროლა ნ. ნიკოლაძეს, რომელიც მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა სიკვდილისგან.

„დროების“ პუბლიცისტებს უჭირდათ გაზეთის ფურცლებზე ვრცელი და დასაბუთებული პასუხების გაცემა მოწინააღმდეგეებისათვის. ამ გარემოებამ ერთგვარად დააჩქარა „კრებულის“ გამოცემა.

„დროების“ ლიტერატურული დამატების გამოცემა ს. მესხის ინიციატივა იყო. იდეის განსახორციელებლად მან დახმარება სთხოვა თანამოაზრეებს - საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ნიკო ნიკოლაძეს, ასევე ა. წერეთელსა და კ. ლორთქიფანიძეს. „კრებულისათვის“ მასალის შეგროვება 1869 წელს დაუწყიათ, ხოლო არა უგვიანს 1870 წლის მაისისა ბეჭდვასაც შედგომიან. წლის ბოლოს კი, როგორც ჩანს, პირველი ნომერი უკვე დაიბეჭდა კიდეც.

„კრებულის“ პირველი წიგნის დასაბეჭდად ცენზურის ნებართვა 1870 წლის 30 დეკემბერსაა გამოცემული. 1871 წლის იანვარში ტირაჟის ნაწილი გასაყიდად გაიტანეს, ნაწილი კი უფასოდ დაურიგეს „დროების“ ხელის მომწერებს.

„მნათობის“ 1871 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილია „კრებულის“ სარედაქციო განცხადება, რომელიც მკითხველს აცნობებს, რომ „*დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ამ წლიდგან დაწყებული, გამოიცემა ახალი სალიტერატურო ურნალი ქართულ ენაზე „კრებული“.* ამ ურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და ცოტ-ცოტათ გააცნოს საზოგადოება

როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათს წარსულს და ეხლანდელს მდგომარეობას. ამას გარდა, „კრებული“ თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულ ნაწილს, რომელიც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს საზოგადოებას...“. განცხადებაში ასევე ვკითხულობთ ცნობებს „კრებულის“ სარედაქციო გუნდთან დაკავშირებით: „კრებულის“ რედაქციაში ნიდაგ მონაწილეობას მიიღებს ნ. სკანდელი. იმას გარდა „კრებულს“ თანამშრომელობა აღუთქვა ილ. ჭავჭავაძემ, კირ. ლორთქიფანიძემ, ვ. ჩიქოვანმა, რაფ. ერისთავმა, ს. მესხმა და სხვა. – „კრებულს იმედი აქვს დაბეჭდოს, ამ მწერლების თხზულებებს გარდა, სხვა ახალგაზდა პირების ნაშრომიც...“, ასევე აღნიშნულია, რომ უურნალის „პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამა წლის დამდეგს. ეხლა, რაკი მთავრობის ნებართვა მივიღეთ „კრებულის“ უურნალათ გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოვცემთ აპრილში და მეხუთეს მაისის ნახევრამდინ...“.

1871 წლის 25 იანვარს გიორგი წერეთელმა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს (რომანოვს), წარუდგინა ოფიციალური თხოვნა ყოველთვიური ლიტერატურული უურნალის, „კრებულის“, გამოცემის შესახებ. გ. წერეთელმა თხოვნას დაურთო ექვსპუნქტიანი პროგრამა:

ორიგინალური და ნათარგმნი პროზა, პოეზია და დრამატურგია.

სტატიები საისტორიო, ეკონომიკური და ბუნებისმეტყველების ისტორიის საკითხებზე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ცნობები საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლეებზე (პოლიტიკური საკითხების გამოკლებით).

ფელეტონი.

დამატება: რუსული და უცხოური კლასიკური მწერლობის ნიმუშთა თარგმანები.

1871 წლის 9 აპრილს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსმა, ბარონმა ალ. ნიკოლაიმ, კავკასიის საცენზურო კომიტეტს ოფიციალურად აცნობა, რომ გიორგი წერეთელს მიეცა ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის უფლება. აპრილშივე გამოვიდა მესამე ნომერი და აქედან იწყება „კრებულის“, როგორც დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემის ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ „კრებული“ დამოუკიდებელ გამოცემად იქცა, მან მაინც შეინარჩუნა „დროებასთან“ მჭიდრო სარედაქციო და იდეური კავშირი. მკითხველს შეეძლო ამ ორი გამოცემის გამონერა როგორც ცალ-ცალკე, ისე -ერთად. „კრებულის“ მესამე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით „დროებაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო განცხადება: *„კრებულის“ რედაქცია აცხადებს, რომ „დროებაზე“ და „კრებულზე“ ერთათ ხელისმონერა მიიღებაო. ამას ჩვენ უნდა დაუმატოთ აქ, რომ ამ ორ გამოცემას შუა, ხელის მონერას გარდა, სხვა კავშირიც იქნება. ორივე რედაქციის აზრით, გაზეთს „დროებას“ ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომ მკითხველი მასში ახალ ამბებს, თანამედროვე ცხოვრების ვაკვრით გამოსახვას და დაფასებას პოულობდეს. გაზეთს საკმაო ადგილი არ აქვს მოთხრობებით, კომედიებით, რომანებით, დანვრილებული ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით და სწავლული გამოკვლევით გააცნოს მკითხველი ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას. ეს შრომა წიგნის, ჟურნალის საქმეა და ეს საქმე იკისრა „კრებულმა“; ჩვენ კი გვიკისრია გაზეთის საქმე. ამნაირათ, „კრებული“ და „დროება“ ჩვენ ლიტერატურაში ერთი მეორის დამხმარე და შემავსებელი იქნებიან* [„დროება“, 1871, #15]

ამრიგად, ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის შესახებ „დროების“ სარედაქციო კოლეგიამ საცენზურო კომიტეტში განცხადება შეიტანა 1870 წლის დასაწყისში, ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღებამდე, 1870 წელს დასაბეჭდად მოამზადეს და 1871 წლის აპრილის ბოლომდე გამოსცეს ოთხი ნომერი, მაგრამ არა როგორც ჟურნალი, არამედ როგორც „დროების“ ლიტერატურული დამატება. 1871 წლის

აპრილში კი „კრებულმა“ მთავრობისგან მიიღო ყოველთვიური დამოუკიდებელი ჟურნალის სტატუსი.

4.2 ნიკო ნიკოლაძე - ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორი

ვინ იყო „კრებულის“ რედაქტორი? როგორც ითქვა, თხოვნა ახალი ჟურნალის თაობაზე ხელისუფლებას გიორგი წერეთელმა წარუდგინა და რედაქტორ-გამომცემლადაც ის დამტკიცდა, თუმცა, როგორც ირკვევა, ეს საქმის მხოლოდ ფორმალური მხარე იყო: ნიკო ნიკოლაძე ამ დროს ახალი დაბრუნებული იყო ემიგრაციიდან, პოლიტიკურად საშიშ პიროვნებად მიიჩნევდნენ და ცხადია რედაქტორად არ დაამტკიცებდნენ.

ალექსანდრე კალანდაძის თქმით, არსებობის მთელ პერიოდში... „კრებულს“ თითქმის განუწყვეტლივ სათავეში ედგა ნიკო ნიკოლაძე... „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 ნომერი უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული და დაბეჭდილი. მისი აზრით, დარმწუნებით შეიძლება ითქვას, რომ „კრებულის“ დაარსების თაოსნობა სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნით. სწორედ ნიკო ნიკოლაძეს დაევალა „კრებულის“, როგორც „დროების“ ლიტერატურული დამატების, შედგენა და რედაქტირება. ამრიგად, „კრებულის“ ფაქტობრივი რედაქტორი, მისი იდეური საფუძვლებისა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური პროფილის განმსაზღვრელი იყო ნიკო ნიკოლაძე.

„კრებული“ ფინანსურადაც ძლიერ იყო დავალებული ნიკო ნიკოლაძისაგან. ხელის მომწერთაგან შემოსული თანხა გამოცემის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ იყო, ამიტომ ნიკო ნიკოლაძე, როგორც შეძლებული ოჯახის შვილი, საქმეს საკუთარ თანხას ახმარდა. ზ. ჭიჭინაძე გვარწმუნებს: *„მე თვით ვარ ამის მნახველი, რომ მან (ნიკო ნიკოლაძემ - ნ.ჭ.) 1000 მანეთის ოქრო გადასცა მესტამბეს „კრებულის“ ბეჭდვის*

ანგარიშში“ [ზ. ჭიჭინაძე, 1897, 36]. მისივე თქმით: „ნ. ნიკოლაძეს „კრებულში“... დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა... თვით რედაქტორს არ ეკითხებოდა ამდენი“ [იქვე, გვ. 34]

„კრებულის“ საპროგრამო წერილი - „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, რომელიც 1871 წლის მე-3 ნომერშია დაბეჭდილი, ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის. პერიოდულ გამიცემათა ამ ხასიათის საპროგრამო წერილებს კი, როგორც წესი, რედაქტორები წერენ. სარედაქციო განცხადებაში, რომელსაც გ. წერეთელი აწერს ხელს, საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „კრებულის“ რედაქციაში ნიადაგ მონაწილეობას მიიღებს ნ.სკანდელი“, ესე იგი, ნიკო ნიკოლაძე. დანარჩენი თანამშრომლები კი ცალკე არიან დასახელებულები.

ყველაფერიდან ჩანს, რომ „კრებულის“ სარედაქციო მუშაობა მთლიანად ნ. ნიკოლაძეს ებარა. ამას „კრებულის“ სარედაქციო განცხადებებიც ადასტურებს. 1872 წლის დეკემბრის განცხადებაში („დროება“, 1873, #1, „კრებულის“, 1872, #10-12) ნათქვამია: „კრებულის“... რედაქცია და თანამშრომლობა, პატივსადები მიზნებისა გამო, თითქმის უფრო ხშირად ერთ კაცზედ იყო მიგდებული.“

„კრებულს“ ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები აძლევდა იდეურ გეზს. ზ. ჭიჭინაძე წერს: „კრებულის“ საქმე პირველის ნომრიდანვე ბრწყინვალედ წავიდა; ნ. ნიკოლაძის კალამმა ბრწყინვალედ მორთო იგი, ქართველობას ამცნო და დაუმტკიცა, რომ ქართულს ენაზედ შეიძლება ჩინებული წერილების წერა და მუშაობა“ [ზ. ჭიჭინაძე 1897, 34].

1872 წლის გაზაფხულზე ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. ჟურნალის მე-6 და მე-7 ნომრები მან წასვლამდე გამოუშვა. მისი წასვლის შემდეგ კი, 1872 წელს, „კრებულის“ ერთადერთი წიგნი გამოვიდა. როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში „კრებულის“ გამოცემა ფაქტობრივად შეწყდა. იმავე ხანებში გიორგი წერეთელი და სერგეი მესხიცი ემზადებოდნენ საზღვარგარეთ წასასვლელად და „დროების“ რედაქტორობა და „კრებულის“ მეთაურობაც კირილე

ლორთქიფანიძეს მოუხდა. როგორც ჩანს, მას გაუძნელდა ამდენი საქმის ერთდროულად გაძღოლა და ამიტომ 1873 წლის პირველი ნომრის გამოცემა მაისის ბოლოს მოხერხდა.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და მაშინვე სათავეში ჩაუდგა „კრებულს“. მას მძიმე სამუშაო დახვდა, რადგან ერთდროულად მოსამზადებელი იყო მე-2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 ნომერები. ხელომწერთა დასაშოშმინებლად ნ. ნიკოლაძემ „დროებაში“ გამოაქვეყნა „კრებულის“ რედაქციის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: *„გამოვიდა და მოკლე ხანში ხელისმომწერებს დაურიგდება „კრებული“ ... #4, #5 და #6-ის აკინძვა და გავზავნა ცოტათი უფრო მეტ დროს თხოულობს, ვინემ ჩვენ გვეკონია, მაგრამ სექტემბრის განმავლობაში კი ხელისმომწერებს ეს გამოსული ნომრები დაურიგდება“* („დროება“, 1873, #35). ალ. კალანდაძის დაკვირვებით, ნიკო ნიკოლაძემ მარტოდმარტომ მოკლე ხანში შეძლო მთელი წლის ხარვეზის შევსება და 1873 წლის ათი ნომრიდან 9 მან მოამზადა. ხოლო როცა 1873 წელს ნ. ნიკოლაძე კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ და იქ, 1875 წლამდე დარჩა, „კრებულის“ გამოცემაც შეწყდა.

4.3. „კრებულის“ ფორმატი, სტრუქტურა და ტექნიკური გათვორმება

1871 წლის თებერვლის სარედაქციო განცხადებაში აღნიშნულია, რომ „კრებული“ გამოვა „სივრცით თოთხმეტ ჰატარა თაბახიდგან მოკიდებული ოცამდი“. როგორც ჩანს, ჟურნალი უფრო მცირე მოცულობით გამოდიოდა, საშუალოდ, 8-დან 12 თაბახამდე. გარდა ამისა, შეერთებული ნომრებიც მოცულობით დიდად არ აღემატებოდა ცალკე გამოსულ ნომრებს.

ჩახვეული ასოებით შესრულებული სათაური, მონითალო-ყავისფერი ყდა, ზომიერი ფორმატი „კრებულს“ გარეგნულად მიმზიდველ შთაბეჭდილებას აძლევს. რაც შეეხება მასალის დალაგებას, ამ მხრივ დადებით შეფასებას ვერ მივცემთ.

ჟურნალი არ არის დაყოფილი რუბრიკებად, განყოფილებებად, სხვადასხვა ჟანრის თხზულებები ერთმანეთშია არეული. ხშირად დარღვეულია ნუმერაციაც, რაც აძნელებს ჟურნალის კითხვას. აკინძვის ხარვეზის გამო, ზოგიერთ შემთხვევაში დაკარგულია ცალკეული სიტყვები და სტრიქონები. გაუგებრობას ვაწყდებით თავად სარჩევშიც, მაგალითად, 1873 წლის მე-3 ნომრის სარჩევში დასახელებულია თხზულება „მეფის სოლომონ მეორის დრო“, რომელიც საერთოდ არ არის დაბეჭდილი ამ ნომერში. ასევე 1872 წლის 10-11-12 ნომერში სარჩევში არ არის აღნიშნული, თუმცა ჟურნალში გვხვდება აკაკი წერეთლის ლექსი „მუხამბაზი“ და გიორგი ჭალადიდელი ლექსი „გორდის მთაზე“.

შედარებით უკეთ გამოიყურება კორექტურა. ტექსტში შეცდომები იშვიათია და რაც არის, ხშირად იქვეა გასწორებული სქოლიოში.

V თავი. მხატვრული ლიტერატურა ჟურნალ „კრებულში“

„კრებული“ გამოირჩევა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. მასში დაბეჭდილია პოემები, ლექსები, მოთხრობები, რომანები, ფელეტონები, ნარკვევები, დრამატული თხზულებები; განსაკუთრებით ხშირადაა წარმოდგენილი „მოგზაურობანი“. ჟურნალის ფურცლები ხშირად ეთმობა ფოლკლორულ მასალას - ხალხურ ანდაზებს, გამოცანებს და ა.შ.

თუკი ჟურნალის ნომრების ყურადღებით გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ რედაქტორი ცდილობდა ურთიერთობა დაემყარებინა იმ დროის გამორჩეულ მწერლებთან. ალ. კალანდაძის ცნობით, სწორედ „კრებულის“ რედაქციის დაკვეთით დაუწერია ილია ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილი, დაუმთავრებია „აჩრდილი“, „დედა და შვილი“, „მგზავრის წერილები“ და სხვა. მისივე გადმოცემით, რედაქციის წევრები სოფელ-სოფელ დადიოდნენ მასალების შესაკრებად. მაგალითად, პ. უმიკაშვილი სამჯერ ასულა სტეფანწმინდაში დიმი.

ყაზბეგთან მოთხრობებისათვის, მაგრამ „იდეურ-მხატვრულ მომთხროვნელობას რედაქცია მაინც არ ასუსტებდა და მკაცრი შერჩევით აქვეყნებდა თხზულებებს“ [ალ. კალანდაძე, 1985: 436].

იმ დროისათვის არცთუ ხშირი შემთხვევა იყო, რომ ხელისმომწერებს უჩნდებოდათ საკუთარი ქმნილებების გაზეთში თუ ჟურნალში გამოქვეყნების სურვილი. როგორც წესი, უარის მიღების შემთხვევაში განაწყენებული ავტორები ხელმოწერის გაუქმებით და ახლობლების გადაბირებით იმუქრებოდნენ. ამ გარემოებითაც აიხსნება, რომ მაშინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებთა დონე ხშირად არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ თვალსაზრისით „კრებული“ დიდ პრინციპულობას იჩენდა და „ძალად მწერლებს“ დანუნებულ ლექსებსა თუ მოთხრობებს უკანვე უბრუნებდა. ეს გარემოებაც ნიკო ნიკოლაძის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საკუთარი ოჯახის მატერიალური თანადგომის იმედით მხოლოდ ხელმოწერლებზე არ იყო დამოკიდებული და, ამდენად, თავს აძლევდა იმ ფუფუნების უფლებას, რომ ეთანამშრომლა მხოლოდ იმ ავტორებთან, რომელთა ქმნილებებიც ჟურნალში დაბეჭდვის ღირსად მიაჩნდა.

მეცნიერები ჟურნალის წარმატების მიზემად თვლიან მასში დაბეჭდილი მასალის თემების აქტუალობას, ცხოვრებისეული მოვლენების ღრმა მხატვრულ ანალიზს, დახვეწილ გემოვნებასა და გონივრულ იდეებს. ნიკ. ყიფიანი წერდა, „ამ ხუთი წიგნით „კრებულის“ რედაქციამ მეტი შესძინა ლიტერატურას, ვიდრე ზოგიერთმა გამოცემებმა ათი-თხუთმეტი წლის ღოღავითა“ [„დროება“, 1872 წ., #2].

„კრებულის“ რედაქციას კარგად ჰქონდა გააზრებული ის ფაქტი, რომ ლიტერატურამ მკითხველი უნდა გაათვითცნობიეროს პოლიტიკურად და დახვეწოს ზნეობრივად. „კრებულში“ დაბეჭდილ ყველა მასალაში, იქნება ეს პოეზია, პროზა, დრამატურგია თუ ხალხური შემოქმედება, ჩანს არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ ხალხის ფიქრი, ოცნება და გრძნობები. „ჩვენს მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ იმის ლაპარაკსა და ენას მივეჩვევით



და იმნაირს წერაში გავეინაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდინ და გონებამდის მიღწევა შეეძლება. მართო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულსა და გავლენას და მართო ამით შევაძლებინებთ მწერლობას ხალხის სამსახურს“


[„კრებული“, 1873., #5-6] - წერდა ნიკო ნიკოლაძე.

„კრებული“ დიდ ყურადღებას უთმობს ევროპასა და, ზოგადად, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებს. ცდილობს გაათავართოვოს ქართველი მკითხველის საერთაშორისო-პოლიტიკური თვალსაზრისი და ინტერესები „კრებულში“ დაბეჭდილ მხატვრულ მასალაში ქართველ კაცს ვხედავთ ევროპული ცხოვრებისა და საქმეების მონაწილედ. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის სტატიაში „სხვათა შორის“ მოქმედება თითქმის მთელი ევროპის ფონზე იშლება; ანტ. ფურცელაძის მოთხრობის, „ვაი მართალთა“, გმირი ქართველი კაცისათვის უცხო გარემოში, პარიზის კომუნის ბარიკადებზე აღმოჩნდება და ა.შ.. „კრებულში“ დაბეჭდილი პარიზის კომუნის თემისადმი მიძღვნილ თხზულებებში გადმოცემული ფრანგი ხალხისადმი გულწრფელი თანაგრძნობა ხელს უწყობდა ქართველი მკითხველის მორალურ აღზრდას და პატივისცემით განაწყობდა უცხო ერებისადმი.

„კრებულის“ რედაქცია, როგორც ჩანს, დიდ ყურადღებას აქცევდა სტილის საკითხს. ასევე, დიდი ყურადღება ექცეოდა მწერლობის ენასაც. „კრებული“ ცდილობდა ხელი შეეწყოს ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის პროცესისთვის. სწორედ ქართული ენის ბუნებასა და მის ზოგად პრობლემებს ეხება 1872 წელს „კრებულის“ მე-7 ნომერში დაბეჭდილი გ. წერეთლის ვრცელი გამოკვლევა „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“. უურნალის რედაქცია თვლის, რომ სამწერლო ენა უნდა იყოს უბრალო, მარტივი და „ხალხის ან საზოგადოების ნამდვილი ლაპარაკის კილო ჰქონდეს“ [„კრებული“, 1873, #8].

ჩვენ შევქმენით ე.წ. სიხშირის ცხრილი, რომელშიც აღვწესეთ „კრებულში“ არსებობის მანძილზე გამოქვეყნებული მასალა და დიაგრამების საშუალებით გამოვკვეთეთ რედაქტორის უანობრივი პრიორიტეტები.





როგორც დიაგრამებზე ვხედავთ, არსებობის მანძილზე მხატვრული ლიტერატურა ქმნის „კრებულში“ გამოქვეყნებული მასალის თითქმის 70%-ს. შიდა დაყოფის მიხედვით ლიდერობს პოეზია, რომელსაც მხოლოდ პუბლიცისტიკა უწევს კონკურენციას.


1871 წლის ნომრებში ბეჭდური მასალის 40% პოეზიას ეკუთვნის. მეტ-ნაკლებად თანაბარია მხატვრული პროზისა (19%) და პუბლიცისტიკის (26%) წილი. 6% დრამატურგიას ეთმობა, ხოლო 9%- ყველა დანარჩენ მასალას (განჩინება, დამატება და ა. შ.); ამ წლის ნომრებში არაა წარმოდგენილი ფოლკლორული ნიმუშები.

1872 წელს ოდნავ იკლებს პოეზიის წილი (34%); მხატვრული პროზა (17%), პუბლიცისტიკა (27%) და დრამატურგია (8%) თითქმის იმავე ნიშნულზე რჩებიან, სამაგიეროდ ემატება ფოლკლორის ნაწილი (6%). დარჩენილი 8% - ყველა სხვა ტიპის პუბლიკაციის წილად მოდის (განჩინება, ბილიოგრაფიული შენიშვნა და ა. შ.)

სხენებული სახის პროცენტული გადანაწილება, როგორც ჩანს, არაა შემთხვევითი, რადგან გამოცემის მესამე წელს პრაქტიულად არ იცვლება პროცენტები (პოეზია - 35%, მხატვრული პროზა - 17%, პუბლიცისტიკა - 28%, დრამატურგია - 5%, ფოლკლორი - 9%, ყველა დანარჩენი - 6%).


თუ სამივე წლის მონაცემებს შევაჯერებთ (იხ.: საერთო დიაგრამა), ვნახავთ, რომ მასალის პროცენტული განაწილებაც მთლიანობაშიც არ არღვევს უკვე შემუშავებულ

ზოგად კანონზომიერებას: პოეზია - 36%, მხატვრული პროზა - 18%, პუბლიცისტიკა - 27%, დრამატურგია - 6%, ფოლკლორი - 5%, ყველა დანარჩენი - 8%).




ამრიგად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნიკო ნიკოლაძეს შემუშავებული ჰქონდა ასე ვთქვათ, გამოცემის მაკეტი, რომელსაც მუდამ იცავდა. ეს გარემოება შესანიშნავად მიესადაგება მის ხასიათს - სისტემურობის სიყვარულს.


იმავე სიხშირის ცხრილის საფუძველზე შევქმენით ავტორთა აქტივობის ამსახველი დიაგრამები „კრებულის“ არსებობის თითოეული წლისთვის. ამ დიაგრამებზე ნათლად ჩანს, რომ ჟურნალის არსებობის პირველ წელს მთავარ ფუნქციას ორი ადამიანი ასრულებს - ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე.



„კრებულის“ გამოცემის მეორე წელი ყველაზე მეტი პუბლიკაციით ხასიათდება. ავტორთა შორის ლიდერობს გიორგი წერეთელი. ასევე, ხშირია მამია გურიელისა და პეტრე უმიკაშვილის თხზულებათა გამოქვეყნების შემთხვევები.



მესამე წელს საგრძობად იკლებს მხატვრული ტექსტების ბეჭდვის სიხშირე. უურნალის მთავარ „გამწვევ ძალად“ რედაქტორი, ნიკო ნიკოლძე გვევლინება თავისი პუბლიცისტური წეირლებით. მას მხარში ერთგული მეგობარი - კირილე ლორთქიფანიძე უდგას.



ახლა კი დავაკვირდეთ, თითოეული სეგმენტისათვის რა სახის მასალას არჩევს რედაქტორი და რომელ ავტორებს ანიჭებს უპირატესობას.

5.1 პოეზია

„კრებულმა“ თავის გარშემო შემოიკრიბა თავისი დროის ყველა გამოჩენილი პოეტი - გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ა. შ. „კრებულის“ ფურცლებზე ვხედავთ ახალგაზრდა პოეტების სახელებს - გ. ჭალაღიდელო, მ. გურიელი და უკვე გარდაცვლილ მათ სახელოვან წინამორბედებსაც - ალ. ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

„კრებულის“ 1871 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებულია ალ. ჭავჭავაძის ოთხი ლექსი: 1. „ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“, 2. „ჰოი, წარმავალნო გზასა ქალნო“, 3. „ვისაც გჰსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა“, 4. „ხელოქა ჭკვიანის ლექსი, თავის გულიდამ ამოღებული, თავის საყვარელთან მიწერილი“. სქოლიოში ნათქვამია, რომ „ეს ლექსნი დავით რექტორის, ესე იგი ცუკიას ხელით არის გადაწერილი. ოთხივე ესენი

რედაქციას თ. ილ. ჭავჭავაძემ გადმოსცა დასაბეჭდად“. ამრიგად, ირკვევა რომ ლექსები მოიძია და „კრებულის“ რედაქციაში დასაბეჭდად მოიტანა ილია ჭავჭავაძემ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ლექსების იდეურ-მინაარსობრივი მხარე ახლოს დგას „კრებულის“ პუბლიცისტიკის მოტივებთან - იგრძნობა სწრაფვა თავისუფლებისაკენ, გამოხატულია ტირანიისა და სოციალური ჩაგვრის გმობა. ამდენად, ლექსების გამოქვეყნება განპირობებულია არა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის ხსოვნის პატივისცემით, არამედ იმ იდეური თანხვედრითაც, რაც რედაქციასა და ავტორის თხზულებებს შორის არსებობდა.

გრიგოლ ორბელიანი

„კრებულის“ პირველ ნომერს ხსნის გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“. საინტერესოა, რომ ნიკო ნიკოლაძემ ჟურნალში არა მარტო ტექსტი გამოაქვეყნა, არამედ პირველმა შემოგვთავაზა როგორც ამ პოემის, ისე გრიგოლ ორბელიანის მთელი შემოქმედების იდეურ-მხატვრული ანალიზი. „სადღეგრძელოს“ პატრიოტული უღერადობა ეხმიანებოდა იმდროინდელ განწყობას, როცა ეს გრძნობა იღვევებოდა. გრიგოლ ორბელიანის პოემა კი ამ დევნის წინააღმდეგ გადაგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომაც დაიბეჭდა ეს პოემა „კრებულის“ ფურცლებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, ამ ჟურნალის მაღალ ღირსებასა და დიდ მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„კრებულმა“ მკითხველს გააცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი ლექსი და რამდენიმე კერძო წერილი. „დასაბეჭდად ვიშოვეთ ნ. ბარათაშვილის ლექსები და მისი მიწერ-მოწერა, რომელიც ძვირფასია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის“ [„კრებული“, 1872, #10-12] - ნათქვამია კრებულის სარედაქციო განცხადებაში. 1872 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსი „ზვირთები მოდუღუნებენ“, მე-8,

მე-9 ნომერში - ორი ლექსი: „ აღმოჰხდა მნათი“, „არ უკიჟინო, სატრფოლო“, 1873 წლის მე-2 ნომერში კი დაბეჭდილია „დამქროლა ქარმან სასტიკმან“.

„კრებულში“ სულ ნ. ბარათაშვილის რვა პირადი წერილია დაბეჭდილი. მათგან მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი წერილი 1873 წლის პირველ ნომერშია დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის წინათქმით: *„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთი და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენმა ერთმა პატივცემულმა პირმა ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარებმა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულულებისა და თვისების ახსნისათვის, - იგი ჩვენთან ერთად გულისათად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების გარდამომცემელსა.“* ალ. კალანდაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი წერილის დედანი უპოვნია თავისი დის საოჯახო არქივში და სიძისაგან მათი გამოქვეყნების ნებართვა მიუღია (ალ. კალანდაძე, 1985: 457).

დანარჩენი ოთხი წერილი მიწერილია გრ. ორბელიანისადმი, რომელიც თავად მსცოვან პოეტს გადაუცია „კრებულის“ რედაქციისათვის. ამ წერილებს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა: *„ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათი დასაბეჭდად გადმოცემისათვის უგულისათადეს მადლობას ვუძღვნით“* [„კრებული“1873., #3]. წერილები დათარიღებულია და დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ილია ჭავჭავაძე

„კრებულში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ათი ლექსი და ორი პოემა. რედაქციამ შეძლო ისეთი ნაწარმოებების გამოქვეყნებაც, რომლებსაც ცენზურა წლების განმავლობაში აკავებდა. ალ. კალანდაძე გვიამბობს ერთ-ერთი ასეთი ლექსის - **„მესმის, მესმის სანატრელი..“** - დაბეჭდვის ისტორიას: *„როდესაც ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ გამოცემას*

შესდგომია, იგი 1871 წელს ილიას სწვევია დუშეთში... ილიას გადმოუცია „კრებულში“ დასაბეჭდად თავისი ლექსები, ამავე დროს, ნაუკითხავს ეს ლექსიც - „მესმის, მესმის სანატრელი...“ და თან დაუმატებია, რომ ეს ლექსი გარიბალდის ეხება, რომ მან რამდენჯერმე სკადა ამ ლექსის დაბეჭდვა, მაგრამ ამაოდ. ნ. ნიკოლაძეს თავის თავზე აუღია ცენზურისათვის თვალის ახვევა. უდავოდ, ამ მიზნით, ცენზურის მოსაგერიებლად, „კრებულში“ (სქოლიოში) ლექსს დართული აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“ [ალ. კალანდაძე, 1985: გვ.461]. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად გონებაშხვილი და შეუპოვარი ადამიანი იყო ნიკო ნიკოლაძე.

საგულისხმო ინფორმაცია აქვს მოტანილი ალ. კალანდაძეს ილია ჭავჭავაძის დრამატული პოემის - „დედა და შვილის“ - გამოქვეყნებაზეც - „ცენზურის მიზნით ეს საბრძოლო ნაწარმოებიც დიდხანს იდო პოეტის საწერი მაგიდის უჯრაში. პირველი ვარიანტის წერა ილიამ 1869 წლის 14 ივლისს დაასრულა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ შესძლო... პოემა სულ მალე, [„კრებულის“] 1871 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა, მაგრამ ცენზურის სისასტიკემ მას მძიმე დაღი დააჩნია, რედაქცია იძლეული გახდა სათაურშივე ჩაემატებინა შენიშვნა: „დედა და შვილი“, დრამული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდან ოსმალეობთან ომის წინ.“ ავტორის მიერ წარდგენილ ორიგინალში პოემას სათაურად ჰქონია „ქართველის დედა“, რომელიც ცენზორს ამოუშლია და ავტორს პირველი ვარიანტის სათაური („დედა და შვილი“) აღუდგენია; ნაცვლად „კრებულის“ შენიშვნისა („თამარ მეფის დროებიდან...“) პირველ ვარიანტში პოემას სრულიად საწინააღმდეგო აზრის შემცველი სათაურქვეშა წარწერა ჰქონია: „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“ [ალ. კალანდაძე, 1985, გვ. 463]. როგორც ვხედავთ, ნიკო ნიკოლაძისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ტექსტი მკითხველამდე მისულიყო, თუნდაც ამისათვის მკირე კომპრომისი დასჭირვებოდა, ვიდრე გაუმართლებელი პრინციპულობა გამოეჩინა და თხზულება დაუბეჭდავი დაეტოვებინა.

ისევე როგორც „კრებულში“ დაბეჭდილ სხვა ნაწარმოებთა უმრავლესობა, ილიას ლექსებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებითაა გამსჭვალული. ნ. ნიკოლაძე ორ პერიოდად ჰყოფდა ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას - „უწინდელ მის ლექსებში სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩანდა. იმათში ჭავჭავაძის პიროვნული თვისება, მისი საკუთარი ორიგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არა იყო რა, ეხლანდელ მის ლექსებში კი, საზოგადოდ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე. იმათში სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა და თან ნამდვილი გრძნობის შეუფარავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა“ [„კრებული“, 1873, #5].

„კრებულში“ დაიბეჭდა ილიას პოემა „აჩრდილი“, რომელიც ცენზურამ საგრძნობლად დააზარალა - მთლიანად ამოიღო მე-9 თავი. ეს თავი „კრებულის“ 1873 წლის #5-6 -ის სარჩევში მითითებულია, თუმცა არ გვხვდება ჟურნალის ფურცლებზე. საცენზურო დევნის მიუხედავად, პოემას შენარჩუნებული აქვს მხატვრული მთლიანობა და მთავარი იდეა, რაც ცალსახად რედაქტორის დამსახურებაა.,

„კრებულში“ დაბეჭდილია ილიას სტუდენტობის დროს დაწერილი რამდენიმე სატრფიალო ლექსიც: „სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი“, „ახ, სად არიან, სიჭაბუკეც, სიტკბონი შენნი?“, „ჩ...სს“ და „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“; ასევე, ჟურნალის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ-ლირიკული ლექსი - „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის“.

აკაკი წერეთელი

„კრებულში“ დაიბეჭდა აკაკი წერეთლის რვა ლექსი: 1. „ვარდის ხმაზედ“ (1871, #4), 2. „ნადირობა“ (1871, #5), 3. „მუხამბაზი“ (1872, #10-12), 4. „ჩემს მეგობარს ნ-ს“ (1873, #1), 5. „სხვადასხვაგვარი სიყვარული“ (1873, #2), 6. „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“

(1873, #3), 7. „ორი სურათი“ (1873, #3), 8. „სიმღერა“ (1873, #10). აკაკის ეს ლექსები შეესაბამებიან „კრებულის“ იდეურ მიმართულებას. ისინი გამოხატავენ საზოგადოებრივ-ეროვნულ ტკივილს და გამოირჩევიან მწვავე სატირული უღერადობით. მაგ.: პოლიტიკური სატირის ნიმუშებია ლექსები: „ნადირობა“ და „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“. „ნადირობაში“ ავტორი ამხელს არისტოკრატებსა და ჩინსონებს, ლექსში „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“ კი ავტორი კიცხავს ხელისუფლების საცენზურო პოლიტიკას.

ვახტანგ ორბელიანი

„კრებულის“ 1872 წლის მე-10-12 ნომერში დაბეჭდილია ვახტანგ ორბელიანის „ძველი ღმანისი“. ის ჟურნალში გამოქვეყნებული დანარჩენი ნაწარმოებებისაგან მეტნაკლებად განსხვავდება თავისი ტონითა და განწყობილებით. ნაწარმოებში ჭარბობს პესიმისტური განწყობა, თუმცა ის მაინც აღიქმება, როგორც პროტესტი აწმყოსადმი. რედაქტორმა სწორად შეაფასა ეს თხზულება - „ძველი ღმანისი“ ვახ. ორბელიანის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებადაა მიჩნეული.

მამია გურიელი

„კრებულში“ ფაზელის ფსევდონიმით დაბეჭდილია მამია გურიელის შვიდი ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოები: 1. „ებრაული მელოდია“ (1871, #5), 2. „ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“ (1871, #5), 3. „დემონი“ ლერმონტოვის პოემა (1872, #6), 4. პოემიდან „რაშიდ ვარდიძე“ (1872 წ., #7), 5. „კითხვა“ (1872, #8-9), 6. „სატრფოსადმი“ (1872, #8-9), 7. ბაირონის „გიაურიდამ“ (1872, #10-11-12). აღნიშნულ ნაწარმოებთა მთავარი მოტივი არის სამშობლოს სიყვარული. მართალია, იგრძნობა სასოწრაკვეთა და უიმედობა, მაგრამ ისინი ხელს უწყობდნენ ეროვნული გრძნობის გამოღვიძლებას და ერთგვარ პროტესტს წარმოადგენდნენ არსებული სინამდვილისა და თვითმპყრობელობისადმი. მაგ.: პოემა „რაშიდ ვარდიძის“ მთავარი გმირი

სამშობლოდან მონყევტილია და თავისი ქვეყნის მტრის ჯარში მსახურობს, თუმცა ის გულით ყოველთვის ატრებს მშობლიური ქვეყნის სიყვარულსა და მოგონებას. მის სულსა და გონებას შეძრავს მიჯნურის შეკითხვა - „რა გინდა ამათ ჯარებში, შენი მამულის მესისხლეებთანო?“, რის შემდეგაც ის ყველაფერს მიატოვებს და გადაიკარგება.

გიორგი ჭალადიდელი

გიორგი ჭალადიდელი უურნალის ერთ-ერთი ახალგაზრდა თანამშრომელია. „კრებულის“ დაარსებამდე მისი ლექსები და პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა „დროებაში“, „სასოფლო გაზეთსა“ და „მნათობში“. 1871 წელს „დროების“ 26-ე ნომერში ნიკო ნიკოლაძემ საგანგებო წერილი უძღვნა გ. ჭალადიდელის შემოქმედებას.

„კრებულში“ დაბეჭდილია გიორგი ჭალადიდელის ოთხი ლექსი: 1. პოემიდან „უბედურნი“ (1872, #8-9), 2. „გორდის მთაზე“ (1872, #10-12) 3. „ვუძღვნი ნ.ს.“ (1873, #3) 4. „დურგალი“ (1873, #10).

ალ. კალანდაძის აზრით, *„იდეური რადიკალიზმით, პოეტური ოსტატობით, ლექსის სიმსუბუქით, მელოდიურობით და შინაარსის შესატყვისი რიტმულობით, ენის სიკხადითა და უბრალოებით, გ. ჭალადიდელის ლექსები თავისებურ ელოფერს აძლევდა „კრებულის“ პოეზიას...“* [ალ. კალანდაძე, 1985: 482]

ორიგინალური ნაწარმოებების გარდა, „კრებულის“ ფურცლებზე ვხვდებით პოეტურ თარგმანებსაც. უურნალის რედაქცია მთრავმნელებისგან, პირველ რიგში, მოითხოვდა მასალის შეერჩევას იდეური თვალსაზრისით. შეეფერებოდა თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები ქართველი მკითხველის პოლიტიკურ ინტერესებს, სულიერსა თუ ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს, *„ექნება იმას მკითხველ სამოგადოებაზე რაიმე გემოქმედება თუ არა?“* [„კრებული“, 1872, #2]

სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე, „კრებულში“, ისევე როგორც „დროებაში“, ძირითადად დაბეჭდილია სამოქალაქო ლირიკის ნიმუშები. რედაქტორმა მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა - „*მთარგმნელი აუცილებლად შემოქმედებითად აღფრთოვანებული უნდა იყოს სათარგმნი ნაწარმოებით. სისხლხორცეულად უნდა შეიგრძნოს ორიგინალის სულისკვეთება, თვითეული დეტალის მხატვრული ნიუანსები, შეიგრძნოს ავტორის ჩანაფიქრის ყოველი ხვეული, განიმსჭვალოს თხზულების აზრითა და გრძნობით, ალღო აუღოს დედნის კილოს, რიტმს, ინტონაციას; ამოშიფროს მხატვრული სახეები, შეამჩნიოს კოლორიტი, მკაფიოდ წარმოსახოს ხასიათთა ბუნება.*“
[„კრებული“, 1872, #2]

„კრებულში“ დაბეჭდილია ისეთი ავტორების ცალკეული პოეტური ნაწარმოების თარგმანები, როგორებიც არიან ა. ს. პუშკინი, მ. ი. ლერმონტოვი, ნ. დობროლიუბოვი, ა. ნ. პლეშჩეევი, ი. ს. ნიკიტინი. რუს მწერლებთან ერთად ვხვდებით ფრანგ, ინგლისელ და გერმანელ კლასიკოსთა ნაწარმოებებსაც: ვოლტერი, ბაირონი, ჰაინე, თ. მური, ჰიუგო.

ამ თარგმანების ავტორები არიან რაფ. ერისთავი, მამია გურიელი, კირ. ლორთქიფანიძე და ილია ჭავჭავაძე. და სხვანი. ბევრი ლექსის თარგმანი ხელმოუწერლადაა დაბეჭდილი, თუმცა როგორც კვლევა და საარქივო მასალებისა გაცნობა ადასტურებს, მათი ავტორი კირ. ლორთქიფანიძეა.

5.2 პროზა

პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი „კრებულში“ როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პროზაული ნაწარმოებებიც. მასალა. ძირითადად წარმოდგენილია ე.წ. პუბლიცისტური პროზა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ცნობილია, 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების, კერძოდ, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ

საზოგადოებას ესაჭიროებოდა ახალი დროის სწორი ანალიზი და განსჯა, მსჯელობა და კამათი ახალი გამოწვევებისა და მათი დაძლევისათვის სწორი სტრატეგიის შერჩევის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე

ჟურნალში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის ორი მოთხრობა: „გლახის ნაამბობი“ და „მგზავრის წერილები“. 1873 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა „გლახის ნაამბობის“ I-V თავები, მე-2 ნომერში - VI-VIII თავები, მე-3 ში კი - უკანასკნელი IX-XI თავები. ნ. ნიკოლაძემ ვრცელი კრიტიკული წერილი მიუძღვნა „გლახის ნაამბობს“, რომელიც „კრებულის“ იმავე წლის მე-5-6 ნომერში დაიბეჭდა. კრიტიკოსი მოთხრობის ავტორს გამოუცდელს უწოდებს, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის უცხოელი მწერლების გავლენას. მისთვის ეს ნაწარმოები იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ილიას შემოქმედებითი დაოსტატების პირველ ნაბიჯებს ასახავს. თუმცა, როგორც მომდევნო ეპოქამ აჩვენა, ნიკო ნიკოლაძეს გაუზვიადებია „გლახის ნაამბობის“ კრიტიკა. დღეს ეს ნაწარმოები ქართული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშადაა მიჩნეული.

„მგზავრის წერილები“ II, III და IV თავები გამოქვეყნებულია „კრებულის“ მეორე ნიგნში (1871, #2). I თავი დასახელებულია, მაგრამ ცენზურის აკრძალვის გამო არ არის დაბეჭდილი. ბოლო V, VI და VII თავები კი 1871 წლის მე-5 ნომერშია დასტამბული. როგორც ჩანს, „მგზავრის წერილებს“ ვერ ეგუებოდა ცენზურა. „ცენზურის თავგასულობით აღშფოთებულ მწერალს, ამ უტიფრად ნაგლეჯი ადგილებისთვის რეპლიკები მიუწერია: „ცენზორს სუნის ალება სცოდნია“, „უნდა, ახ, ცენზორო!“ მას ცენზორის მიერ ამოშლილი ორიოდე ადგილის აღდგენაც მოუხერხებია“ [ალ. კალანდაძე, 1985: 514]. „მგზავრის წერილებში“ გამოხატულია ეროვნული და, ზოგადად, თავისუფლების იდეა, მიუღებელი იქნებოდა ცენზურისთვის. მაგრამ ილიას ამ მოთხრობის „კრებულის“ ფურცლებზე დაბეჭდვა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს

ჟურნალის სარედაქციო გუნდის პროფესიონალიზმს, გაბედულობას,
შრომისუნარიანობასა და ეროვნული თვითშეგნების მაღალ გრძნობას.

გიორგი წერეთელი

„კრებულის“ მაღალ ღირსებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ მის ფურცლებზეა დაბეჭდილი გიორგის წერეთლის „მგზავრის წიგნები“. 1873 წლის მე-5-6 ნომერში თხზულების პირველი ნაწილია დაბეჭდილი. იმავე წლის მე-9 ნომერი კი მთლიანად ამ თხზულებას აქვს დათმობილი. ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩამოყალიბებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანები და ნათლად წარმოგვიდგენს 60-იანი წლების საქართველოს. „მგზავრის წიგნების“ მთავარი გმირი არის პოლონელი სტუდენტი, რომელიც, გადმოსცემს თხზულების მთავარ იდეასა და პათოსს. პოლონელი სტუდენტი წარმოადგენს იმ თაობას, რომელსაც არ უყვარს ფუჭი ოცნება და მისთვის მთავარია მოქმედება, მას ისტორიული ფაქტების მტკიცე ანალიზზე დაყრდნობით სჭერა დაჩაგრული ხალხის გამარჯვების. ის მოუწოდებს დაჩაგრულ ერებს გაერთიანებისკენ და თავისი ქმედებიდან ამტკიცებს ამას. ამრიგად, ეს არის ის პერსონაჟი, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა მაშინდელ ქართულ საზოგადოებას და ამდენადაც იძენს ეს ნაწარმოები დიდ მნიშვნელობას. ნიკო ნიკოლაძის შეფასებით, *„როცა... პირველი ხანების ბეჭდვა დაიწყო ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა“, მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორც ცოტათი უნინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანმა“ მოახდინა... ყოველი ახალი ხანა მისი „მგზავრის წიგნებისა“ ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდის იწვევდა“* [„მოამბე“, 1894, #3].

„კრებულში“ გიორგი წერეთლის მეორე ვრცელი თხზულებაცაა დაბეჭდილი - „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალის 1872 წლის მე-8-9, მე-10-12 და 1873 წლის პირველ და მე-2 ნომერებში. ავტორი ასახავს თანამედროვე

რეალობას და ამხელს არსებული რეჟიმის მთელ სიმახინჯეს, მათ შორის აღზრდის საკითხშიც. მასშიც, ისევე როგორც „მგზავრის წიგნებში“, იგრძნობა თავისუფლებისა და რწმენის პათოსი.

აკაკი წერეთელი

„კრებულის“ 1872 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილია აკაკი წერეთლის პატარა მოთხრობა „საუბარი ორთა შუა“. ავტორი გადმოსცემს რეფორმის შედეგად გათავისუფლებული გლეხის ფიქრებს, განცდებს, ტკივილსა და სიხარულს. მეტი დამაჯერებლობისათვის მწერალი არ იყენებს მწიგნობრულ ენას და იმერული დიალექტით გადმოსცემს მთავარი გმირის სულიერ მდგომარეობას. მოთხრობაში იგრძნობა, თუ რამდენად ღრმაა უფსკრული გლეხისა და თავადს შორის იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნაბატონარი კეთილგანწყობილია გლეხის მიმართ და მისი დახმარება სურს. ეს საკითხი მოგვიანებით, 1887 წელს, მთელი სიმძაფრით ასახა ილია ჭავჭავაძემ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“.

ნიკო ნიკოლაძე

„კრებულში“ გამოქვეყნებულია ნიკო ნიკოლაძის ორი პროზაული ნაწარმოები „მელაღუმე“ და „სხვათა შორის“. „მელაღუმე“ დაბეჭდილია ჟურნალის 1871 წლის მე-4 ნომერში და წარმოადგენს მხატვრული პუბლიცისტიკის ერთ-ერთ ნიმუშს. ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია და აქაც, ისევე როგორც, გიორგ წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ მთავარ თემად აღებულია აღზრდის პრობლემა. „მელაღუმე“ მკაცრად გაუკრიტიკებიათ. პირველი უარყოფითი რეცენზია თავად „კრებულის ოფიციალურ რედაქტორს, გიორგი წერეთელს აქვს გამოქვეყნებული „დროების“ 1871 წლის 24-ე ნომერში. ასევე უარყოფითად აქვს შეფასებული ეს თხზულება ანტონ ფურცელაძესაც („მნათობი“, 1872 წ., #10-11-12). „კრებულის“ 1872 წლის მე-10-12 ნომერში კი თავად ავტორი, ნიკო ნიკოლაძე, აქვეყნებს წერილს, რომელშიც აღიარებს თავისი

ნაწარმოების სისუსტეს. კირიტიკოსებს „მელაღუმე“ უკომპოზიციო და უსიუჟეტო ნაწარმოებად მიუჩნევიათ, რომელსაც ახასიათებს გადაჭარბებული და გაზვიადებული დიდაქტიკური ტონი. თუმცა, როგორც ალექსანდრე კალანდაძე აღნიშნავს, *„პუბლიცისტური ხერხით მწერალმა ამხილა არისტოკრატიული ახალგაზრდობის ფუქსავატობა. უმიზნობა და დილეტანტობა, მაშინდელი აღზრდის სიმახინჯე და სოციალური უთანასწორობის ბოროტება... რამდენიმე ადგილი მას კარგი ლიტერატურული ალლოთი და ფსიქოლოგიური ტაქტით აქვს შესრულებული“* [ალ.კალანდაძე, 1985: 530].

ნიკო ნიკოლაძის მეორე მოთხრობას „სხვათა შორის“ მთლიანად უკავია „კრებულის“ 1873 წლის მე-4 ნომერი. მასში აღწერილია 1872-1873 წლების მოგზაურობა ევროპაში და გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით. პირველი თავი - „გამოსალმება“ - „დროების“ 1872 წლის მე-11 ნომერშიც დაიბეჭდა. „კრებულში“ დაბეჭდილი ტექსტი სრული არ არის - თუმცა ალ. კალანდაძის ცნობით, ნაწარმოები თორმეტი თავისაგან შედგება, ხოლო ორი თავი „სოხუმი“ და „ციურიხი“ ცენზურას ამოუღია და სათაურებიღაა დარჩენილი.

დავით ერისთავი

„კრებულის“ 1873 წლის მე-10-11-12 ნომრებში გამოქვეყნდა დავით ერისთავის მოთხრობა „წყლებზე“. ავტორი წარმოგვიდგენს იმდროინდელი ევროპის სინამდვილეს და ამის ფონზე გადმოსცემს სოციალურ-ეროვნულ იდეებს. მართალია, დ. ერისთავი ევროპის ცხოვრებას აღწერს, მაგრამ მოხერხებულად მიგვანიშნებს პრობლემათა და სამომავლო იდეალების იდენტურობაზე. სხვათა შორის, „დროების“ 1873 წლის მე-13 და მე-14 ნომრებში დაბეჭდილია ს. მესხის რეცენზია დავით ერისთავის ამ მოთხრობაზე, სადაც ავტორი თხზულებას დადებითად აფასებს.

დიმიტრი ყაზბეგი

„კრებულის“ 1873 წლის მე-10-11-12 ნომერში დაბეჭდილია დიმიტრი ყაზბეგის ეტიუდი „მავნე სულები“. ს. მესხი თავის წერილში („დროება“ 1873, #13) „მავნე სულებს“ ეთნოგრაფიულ ნაწარმოებად თვლის და მის მხატვრულ მხარეს დადებითად აფასებს.

იასონ ნათაძე

ჟურნალის 1872 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილია იასონ ნათაძის ნარკვევი „მგზავრის შენიშვნები“. ეს ნაწარმოებიც გადმოსცემს თანამედროვეობის სოციალურ-ეროვნულ ტკივილებს. ავტორი, ისევე როგორც „კრებულში“ დაბეჭდილ სხვა ნაწარმოებთა ავტორები, ამხელს საზოგადოებრივ უთანასწორობას და სოციალურ სიმახიჭეს. ავტორს სურს მკითველს აჩვენოს გლეხის ცხოვრება და მდგომარეობა. ის აიდეალებს მთიელი ხალხის ყოფას და მათ რაინდული სულისა და მტკიცე ხასიათის აღამიანებად მიიჩნევს.

ისევე, როგორც პოეზიის შემთხვევაში, „კრებულში“ ორიგინალურ პროზასთან ერთად იბეჭდებოდა პროზაული თარგმანებიც. მაგ.: ჟურნალში დაბეჭდილია ნ. გოგოლის მოთხრობა „რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიტოროვიჩთან“. მოთხრობა თარგმნა გ. ჩიქოვანმა. ნაწარმოების I, II, III თავები დაბეჭდილია „კრებულის“ 1871 წლის მე-2 ნომერში. IV, V, VI, VII თავები კი - მე-3 ნომერში. როგორც ალ. კალანდაძე აღნიშნავს: „ტექსტობრივად გ. ჩიქოვანს არაჩეულებრივი სიზუსტით უთარგმნია ეს ნაწარმოები. შეიძლება ითქვას, რომ ის არც ერთ სიტყვას უყურადღებოდ არ ტოვებს და უშეცდომოდ გადმოსცემს აზრს... მთარგმნელი ორივე ენის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს და ხშირად წარმატებითაც პოულობს შესატყვის გამოთქმას“ [ალ. კალანდაძე, 1985: 538]. „კრებულში“ დაბეჭდილია ივანე მესხის მიერ თარგმნილი ნ. გოგოლის კიდევ ერთი ნაწარმოები - „შინელი“ („კრებული“, 1871, #4, #5).

„კრებულის“ პირველივე ნიგზში (1871) დაიბეჭდა ალ. გერცენის სოციალური რომანი „დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან. კაცობრიობის სულის ავადმყოფობა და იმისი გადამდებობა“. თხზულება თარგმნილია გიორგი წერეთლის მიერ. ცენზორის თვალის ასახვევად მთარგმნელს არ გაუმჟღავნებია ავტორის ვინაობა და რომანი „დოქტორი კრუპოვის“ თხზულებად წარუდგენია. ეს რომანიც შეესაბამება „კრებულის“ იდეურ მიმართულებას. ავტორი ცდილობს, მკითხველს დაანახოს ბატონყმური უსამართლობისა და სოციალური ჩაგვრის მთელი სიმახინჯე.

„კრებულში“ დაბეჭდილია ნიკო ნიკოლაძის მიერ თარგმნილი ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“. ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ნაწარმოებს ალევგორიულ- მამხილებლურ ხასიათის გამო. სვიფტი მას პოლიტიკური ალევგორიისა და სატირის ვირტუოზად მიაჩნდა. ნ. ნიკოლაძის თარგმანი დაბეჭდილია უურნალის 1871 წლის მე-2, მე-3 და 1872 წლის მე-6 ნომრებში. როგორც ცნობილია, „გულივერის მოგზაურობა“ შედგება ოთხი ნაწილისგან. ნიკო ნიკოლაძემ თარგმნა და გამოაქვეყნა თხზულების პირველი ნაწილი, „მოგზაურობა ლილიპუტების ქვეყანაში, მთლიანად და მეორე ნაწილის-, „მოგზაურობა ბრობდინგნაგს“- დასაწყისი.

„კრებულში“ წარმოდგენილია ფრანგი მწერლის, ეჟენი სუს ნაწარმოები „მომოგვალი ურია“, რომელიც სარდიონ მესხიშვილის მიერ არის თარგმნილი. თხზულების მხოლოდ ერთი ნაწილია დაბეჭდილი „კრებულის“ 1872 წლის მე-8-9 ნომერში. ანტ. ფურცელაძე უარყოფითად იყო განწყობილი ამ თხზულების მიმართ და „მნათობში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში ამ თარგმანის გამოქვეყნება დიდ ცოდვად ჩაუთვალა „კრებულს“ („მნათობი“, 1872 წ., #10, #11, 12).

„კრებულის“ 1872 წლის მე-8-9 ნომერში მკითხველი გაეცნო ჟორჟ სანდის სოციალური რომანის, „პიერ ჰუგენონის“ დასაწყისს. უურნალში აღნიშნულია, რომ „შემდეგი იქნება“, მაგრამ გაგრძელება აღარ გამოქვეყნებულა. სავარაუდოდ,

მთარგმენლმა ვერ გაართვა ამოცანას თავი; გამოქვეყნებული ნაწილიც არ გამოირჩევა მაღალი დონით - დარღვეულია მხატვრული სიცხადე და თხრობის ბუნებრივი წყობა.

„კრებულში“ ვხვდებით ერკმან-შატრიანის, ორი ფრანგი მწერლის, ნაწარმოებს „დალოცვილი ძველი ღრო“ (1871 წ., #5). მასში ასახულია საფრანგეთის რევოლუციის წინა პერიოდის გლახთა ცხოვრება. უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის სურათები იზიდავდა ქართველ მკითხველს. მკვლევართა ვარაუდით, ამ თხზულების მთარგმენლი ნიკო ნიკოლაძე უნდა იყოს, რომელიც მოხიბლული იყო ერკმან-შატრიანის თხზულებებით.

5.3 დრამატურგია

გიორგი ერისთავი

„კრებულში“ გამოქვეყნებულია გიორგი ერისთავის ერთი პიესა „დავა“. პირველი ორი მოქმედება დაბეჭდილია 1871 წლის მე-5 ნომერში, ხოლო მომდევნო სამი - 1872 წლის მე-6 ნომერში. ს. მესხი „დავის“ შესახებ წერდა: „დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ... როგორც თითქმის გ. ერისთავის ყველა კომედიებს, ამასაც შესანიშნავი სცენიკური ღირსება აქვს...“ [„დროება“, 1871, # 39], თუმცა ბეჭდვის დამთავრების შემდეგ ს. მესხს თავისი დამოკიდებულება პიესისადმი შეუცვლია და „დროების“ 1872 წლის მე-14 ნომერში წერს: „ქართულ კომედიაში... მთელი მოქმედება რუსულათ დანერგილი - ძალიან გვეჩოთირება.“

„დავაში“ გიორგი ერისთავს ასახული აქვს თავისი დროის საზოგადოებრივი მდგომარეობა - ბატონყმური მეურნეობის პრობლემები, მეფის ჩინოვნიკური აპარატის უსამართლობა, თავადაზნაურობის ეკონომიკური და ზნეობრივი დაკნინება. ავტორი მხილების საუკეთესო იარაღად კარგად იყენებს იუმორს.

გიორგი წერეთელი

„კრებულის“ 1871 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილია გ. წერეთლის ორმოქმედებიანი კომედია „ჯიბრი“. კომედიას თანამედროვეთა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობა მოჰყოლია. ნ. ყიფიანმა მას ქართულ ლიტერატურაში პირველი ადგილი მიაკუთვნა („დროება“, 1871, #6). „ჯიბრს“ ნიკო ნიკოლაძემ „ძლიერ შესანიშნავ“ თხზულებად მიჩნევს („კრებული“, 1872, #10-12). ანტ. ფურცელაძემ კი „ჯიბრის“ ქება არასწორ საექციელად მიიჩნია და პიესა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით სუსტ და ყალბ ნაწარმოებად გამოაცხადა („მნათობი“, 1871., #10-12).

რაფიელ ერისთავი

ეს ნაწარმოები „სცენების“ იმ ციკლს ეკუთვნის, რომელიც ავტორმა „დროების“ 1870 წლის #20, 27, 31, 40, 49 და 1871 წლის მე-2 ნომერში გამოაქვეყნა.

აკაკი წერეთელი

„კრებულში“ (1872 წ., #7) გამოქვეყნებულია აკაკი წერეთლის „სცენა საპატიმროში“, რომელსაც სერგეი მესხის დიდი მონონება დაუმსახურებია. კრიტიკოსი აღფრთოვანებულია მწერლის ენით და ოსტატური, მხატვრული მიგნებებით („დროება“, 1872, #19). აკაკი ამ ნაწარმოებში ამხელს სასამართლოებში გამეფებულ უკანონობას და გაიძვერა მოხელეთა თვითნებობას.

როგორც აღვნიშნეთ, „კრებულში“ გამოქვეყნებულია მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა დრამატული ნაწარმოებების თარგმანებიც. დრამატულ თარგმანების შესრულებას ხელი მოჰკიდეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა: ი. ჭავჭავაძემ, ი. მაჩაბელმა, აკ. წერეთელმა, გ. წერეთელმა. სწორედ მათი ნამუშევრებია დაბეჭდილი ჟურნალში.

„კრებულის“ 1874 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა თარგმნეს. „კრებულის“

რედაქციამ ზუსტად შეასრულა ილიას მითითება: თარგმანი ერთ ნომერში გამოქვეყნდა, „გაუტეხავი სტრიქონით“ დაიბეჭდა და კორექტურულ შეცდომებსაც თითქმის ვერ ვხვდებით. სხვათა შორის, ამ პიესის გამოქვეყნებას, როგორც მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას, „დროებას“ გამოეხმაურა: „უფ. ილ ჭავჭავაძეს და ივ. მაჩაბელს გაუთავებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაიბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთს მშვენიერად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძინს“ [„დროება“, 1874, #414]. სამწუხაროდ, უურნალის გამოცემა სწორედ იმ ნომრით შეწყდა, რომელშიც „მეფე ლირის“ პირველი მოქმედებაა დასტამბული და მომდევნო ოთხი მოქმედება ოთხი წლის შემდეგ გამოქვეყნდა „ივერიაში“.

„კრებულის“ 1873 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილია ფრანგი დრამატურგის, მოლიერის პიესა „სკაპენის ცულლუტობა“, რომელიც აკაკი წერეთელს უთარგმნია. იმავე წელსვე „სკაპენის ცულლუტობა“ ქუთაისში დაუდგამთ. ამის შემდეგ მან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და 1875 წელს სხვადასხვა სოფელში წარმოუდგენიათ. „დროების“ 1875 წლის მე-8 ნომერში ვკითხულობთ: *„ქუთაისიდან მოგვივიდა ამბავი, რომ წარსულ კვირას იქაურ სააზნაურო სახლში ქართული წარმოდგენა ყოფილა. მოლიერის კამედია „სკაპენის ცულლუტობა“ (აკ. წერეთლისგან მშვენიერად ნათარგმნი) და „დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ გააჩერებსო“ (თ. რაფიელ ერისთავისა) წარმოუდგენიათ. როგორც გვაცნობებენ, ჩვენს ქუთათურს თეატრის მოყვარეთა ჩვეულებრივად კარგად და ცოცხლად უთამაშნიათ და დიდ ძალი ხალხი, რომელიც ამ წარმოდგენას დასწრებია, ძალიან კმაყოფილი დარჩენილა.“* თბილისში „სკაპენის ცულლუტობა“ პირველად 1880 წლის 23 იანვარს წარმოუდგენიათ, სადაც თავად აკაკი თამაშობდა.

„კრებულში“ გამოქვეყნებულია გერმანელი მწერლის, იოჰან-ვოლფგანგ გოეთეს ტრაგედია „ეგმონტი“, გიორგი წერეთლის მიერ თარგმნილი. პიესის დასაწყისი დაბეჭდილია ჟურნალის 1873 წლის მე-5 ნომერში, ხოლო დასასრული იმავე წლის მე-7 ნომერში. 1873 წელს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ წერილში ნ. ნიკოლაძე სთხოვდა კირ. ლორთქიფანიძეს, არ დაეგვიანებია ტრაგედიის გამოქვეყნება. როგორც ჩანს, კრებულის რედაქცია დიდ ინტერესს იჩენდა ამ პიესისადმი.

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ ნიჭიერი მწერლები ასრულებენ მხატვრულ თარგმანებს, არამედ დიდი გემოვნებითა და დაკვირვებით არის შერჩეული სათარგმნი ტექსტიც. ამდენად, მთარგმნელებმა მართლაც პატიოსნად შესარულებს ყველა ის მოთხვნა, რომელიც მათ რედაქტორმა წაუყენა.

5.4. ფოლკლორი

„კრებული“ სისტემატურად ბეჭდავდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. ამისთვის ჟურნალის რედაქციამ საგანგებო რუბრიკა დააწესა. ყოველ მომდევნო ნომერში ახალ-ახალი შედეგებია გამოქვეყნებული. მწერლები თავიანთი კოლექციიდან საუკეთესოს არჩევდნენ ჟურნალში დასაბეჭდად. „კრებულის“ პუბლიკაცია ქართული ხალხური პოეზიის „პატარა საუნჯეს“ წარმოადგენს და მკითხველი მასში ბევრ ისეთ ნაწარმოებს შეხვდება, რომელიც დღესაც ამ პოეზიის სიამაყედ მიგვაჩნია“ [ალ. კალანდაძე, 1985: 558]. ჟურნალში დაბეჭდილი მასალა ძირითადად ლირიკისა და პოეტური ეპოსის უნარს წარმოადგენს. ხშირად გვხვდება საგმირო, ისტორიული, სოციალური, ფილოსოფიური და სატრფიალო ლექსები. „კრებული“ ფოლკლორულ ნიმუშებს არა მხოლოდ მხატვრულ და ესთეტიკურ, არამედ სოციალური შინაარსის მქონე ნიმუშებადაც განიხილავდა. ამის კარგი მაგალითია „კრებულის“ 1872 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილი პეტრე უმიკაშვილის კრიტიკული განხილვა „არსენას ლექსის“ შესახებ.

დანართში წარმოვადგენთ ნუსხას ყველა იმ ტექსტისა, რომელიც „კრებულის“ ფურცლებზე იხილა მკითხველმა.

დასკვნა

ქართული საზოგადოება, თანამედროვენი და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარები ნიკო ნიკოლაძეს ახასიათებენ, როგორც თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე გონიერ, ენერგიულ და განათლებულ რედაქტორს. „შეუფარავი რელიაზმის“ ერთგულება - ეს არის მთავარი პრინციპი, რომლითაც მთელი ცხოვრება ხელმძღვანელობდა ნიკო ნიკოლაძე.

გაზეთ „დროების“ არსებობა მეცხრამეტე საუკუნის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ეს იყო პირველი ქართული პოლიტიკური გაზეთი და მისი მეთაურები ცდილობდნენ ფართოდ გაეშუქებინათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ და მასთან თანამშრომლობდნენ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები, რომელთა რიგებში ერთ-ერთი მოწინავე იყო ნიკო ნიკოლაძე. იგი თავისი მახვილი კალმითა და ნათელი გონებით „დროებას“ ღირსებას და მნიშვნელობას მატებდა.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილების წყალობით ქართველი მკითხველი „დროება“-„კრებულის“ ფურცლებიდან ეცნობოდა ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს. ნიკო ნიკოლაძე სალიტერატურო კრიტიკისა და

პუბლიცისტიკის ყველა წესისა და პრინციპის დაცვით ქმნიდა თავის ნაშრომებს. მისი მიზანი არასდროს ყოფილა მარტო მაღალფარდოვანი თვრავების წარმოთქმა და ხალხის დამოძღვრა; ის მაგალითს აძლევდა ქართულ საზოგადოებას როგორც სიტყვით, ისე - საქმით.

ნიკო ნიკოლაძეს ბევრჯერ დაუმტკიცებია თავისი, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, მაღალ პროფესიონალიზმი. ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეუდგა ჟურნალისტურ-რედაქტორულ საქმიანობას და მიზნად დაისახა ამ გზით ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახლგაზრდების გამოფხიზლება, მათთვის ანალიტიკური აზროვნებისა და სწორი განსჯის უნარის ჩამოყალიბება.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც „კრებულის“ მთავარი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი, დიდი სიფრთხილით არჩევდა ჟურნალში დასაბეჭდ მასალას და ავტორებს, რომლებთანაც თანამშრომლობდა. მან შემოიკრიბა ისეთი ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმოდათ თანამედროვე მდგომარეობის სირთულე, პრობლემათა არსი და ხედავდნენ გამოსწორების შესაძლო გზებს. სწორედ „კრებულის“ ფურცლებზე გამოჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მანამდე გამოუქვეყნებელი წერილები; გიორგი წერეთლის შემოქმედების ისეთი ნიმუშები, რომლებმაც ქართულ საზოგადოებაში დიდი გამოხმურება ჰპოვეს და ა. შ.

ნიკო ნიკოლაძე მთელი თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში გამუდმებით ებრძოდა თვითმპყრობელური მთავრობის პოლიტიკურ რეჟიმს. ის სხვადასხვა ხერხით ცდილობდა არ დამორჩილებოდა ცენზურის უსამართლო კანონებს, რის გამოც მას ხშირად ექმნებოდა პრობლემები.

მიუხედავად ცენზურის ზეწოლისა, ჟურნალში დაბეჭდილ მასალას, იქნება ეს ორიგინალური თუ ნათარგმნი, აერთიანებს ერთი იდეა - თავისუფლებისათვის ბრძოლა, აქტიურობა, ოპტიმიზმი, შრომა და განათლება, რეალობის შეუალამაზებელი

ასახვა. ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ ხელოვნება უნდა იდგეს ხალხის სამსახურში და სწორედ ამის კვალობაზე არჩევდა ის დასაბეჭდ მასალასაც და თანამშრომლებსაც.

პუბლიკაციების სიხშირის ცხრილის შედგენამ და დიაგრამების აგებამ გამოავლინა ერთი ფაქტი: ნიკო ნიკოლაძეს „კრებულისათვის“ მოთქმებული და შემუშავებული ჰქონდა მასალათა პროცენტული ბალანსირების მყარი პრინციპი, რომელსაც ბოლომდე ზუსტად იცავდა. ეს პრინციპი, სავარაუდოდ, მორგებული იყო, ერთი მხრივ, ქართველი მკითხველის გემოვნებასა და მოლოდინებზე, მეორე მხრივ კი - ეპოქის გამოწვევებსა და საზოგადო ჭირ-ვარამზე .

ვფიქრობთ, ნიკო ნიკოლაძე ჭეშმარიტად იყო თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო რედაქტორ-გამომცემელი, რომლის ღვაწლმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბაქრაძე, ა., ნიკო ნიკოლაძე, თბილისი, ნაკადული, 1989, 263 გვ.
2. ბიბლიოგრაფია, „დროება“, 1871, №15, გვ.4
3. განცხადება, „კრებული“, 1872, №10-12, გვ. 3
4. „დროება ივერიის გამოცემაზედ“, „დროება“, 1879, №237, გვ.1
5. იოვიძე, ა., „ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა“, „საისტორიო მომაბე“ 1, 1945, გვ. 33-128.
6. კალანდაძე, ალ., „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, თბილისი, განათლება, 1985, 711 გვ.
7. მესხი, ს., „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე წიგნი, „დროება“, 1872 წ., №14, გვ.1-3
8. მესხი, ს., „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე წიგნი (დასასრული), „დროება“, 1872 წ., №19, გვ.1-2
9. მესხი, ს., „მავნე სულელებს“, „დროება“ 1873 წ., №13, გვ.1-2
10. ნიკოლაძე, ნ., „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“ 1873 წ., №1, გვ. 290 -305

11. ნიკოლაძე, ნ., გ. წერეთლის პირველი შრომა, „მოამბე“, 1894 წ., №3, გვ. 139-147
12. ნიკოლაძე, ნ., „გლახის ნაამბობზე“, „კრებული“, 1873 წ., №5, გვ. 401-420
13. ნიკოლაძე, ნ., „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1962, 272 გვ.
14. ნიკოლაძე, ნ., „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873, №8, გვ. 209-235
15. ნიკოლაძე, ნ., „კრებულის“ დანიშნულებაზე“, „კრებული“, 1871, №3 გვ. 39-62
16. ნიკოლაძე, ნ., „მთავრობა და ახალი თაობა“, თხზულებანი, თბ., თსუ, 1962, ტ. I, გვ. 348
17. ნიკოლაძე, ნ., „სალამი“, „დროება“, 1876, №25, გვ.1-3
18. ნიკოლაძე, ნ., „სხვათა-შორის“, „დროება“, 1873 წ. №15, გვ.1-3
19. ნიკოლაძე, ნ., „ჩემ პიროვნებაზე“, „კრებული“, 1873, №7 გვ. 172 -200
20. ნიკოლაძე, ნ., „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, №10-12, გვ.91-135
21. ნიკოლაძე, ნ., „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1873, №5-6 გვ. 401-427
22. ნიკოლოზ ბარათაშვილის წიგნები, „კრებული“1873, №3, გვ.45-46
23. საქართველოს ცსსა, 480, აღწ. 1, საქმე 2, ფურც. 1
24. სიფრაშვილი, ვ., „უცნობის წერილი“, გაზ. „თბილისი“, 1959, 1/VII
25. ყიფიანი, ნ., „გასართობი საუბარი“, „დროება“ 1871, №6, გვ.1-2
26. ყიფიანი, ნ., „გასართობი საუბარი“, „დროება“, 1872, №2, გვ.1-3
27. წერეთელი, გ., „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, №2, გვ.81-94
28. წერეთელი, გ., „კვალი“, 1897, №46, გვ. 816-829
29. წერილი ამბები, „დროება“, 1874, №414, გვ.2
30. ჭიჭინაძე, ზ., ნიკოლოზ ნიკოლაძე, თბილისი, 1897, 81 გვ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's program **Literary Criticism, Textology and Editorial-publishing Work**

Nino Chikaidze

Niko Nikoladze's Editorial Activities

(newspaper "Droeba" and magazine "Krebuli")

The work is prepared for obtaining a Master's degree in Philology

Supervisors of the work:

Nana Pruidze

Doctor of Philology, Associated professor in TSU

Maka Elbakidze

Doctor of Philology, Associated professor in TSU

Tbilisi
2019

დანართი 2

სიხშირის ცხრილი

1871 წელი						
ავტორები	პრობა	პოეზია	პროზაული თარგმანი	პოეტური თარგმანი	პუბლიცისტიკა	დრამატურ გია
გრ. ორბელიანი		1. სადღევრძე ლო				
გიორგი წერეთელი			1. დოქტორი კრუპოვის თხზულებები ან		1. საქართველო ს პოლიტიკური ცხოვრება ძველისძველ ათა; 2. რა გვეჭირვება?!	1. ჯიბრი
ი. ჭავჭავაძე	1. მგზავრი ს წერილები;	1. სატროფო! ხშირად ლალი ფიქრი; 2. მესმის მესმის სანატრელი 3. აჰ, სად არიან, სიჭაბუკვე;				

		4. ჩემო მკვლელი!				
		5. ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის;				
		6. ბედნიერი ხალხი;				
		7. ღვინედამ;				
		8. უცხო თემის ყარბ მთქმელსა;				
		9. მიბაძვა ღვინისადმი ;				
6. ნიკოლაძე	1. მელალე მე;		1. გულივერის მოგზაურობა;		1. ახალი საფრანგეთი;	
			2. დალოცვილი ძველი დროება;		2. საახალწლო;	
					3. ჩვენი ახალგაზრდობა;	
					4. საზოგადო საქმეები, ახალგაზრდობის აღზრდა;	
					5. კრიტიკა და იმის მნიშვნელობა ლიტერატურაში;	
					6. „კრებულის“ დანიშნულება ზედ;	

გ. ჩიქოვანი			1. რაზმელ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩ თან;			
ნ. ანტონოვი			1. გლეხკაცების ომები გერმანიაში;			
კირ. ლორთქიფა ნიძე				1. ორი ლექსი დობროლიუბოვ იდამ;	1. საზრდო და მისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოებრი ს მნიშვნელობა ში;	
ს. მესხი					1. რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი?	
აკ. წერეთელი		1. ვარდის ხმაზელ;				
		2. ნადირობა;				
ივანე მესხი			1. შინელი			
ალ. ჭავჭავაძე		1. ვაი, სოფელსა ამას;		1. ვოლტერის თქმული;		
		2. პოი, წარმავალნ ო გზასა, ქალნო;				
		3. ვისაც გსურთ ჩემთ ჰამბავთა ცნობა;				
		4. ხელოქა ჭკვიანის ლექსი;				

მამია გურიელი		1. ებრაული მელოდია;				
		2. ჩემს ძმას და მეგობარს;				
გ. ერისთავი						1. დავა

1872 წელი						
ავტორები	პროზა	პოეზია	პროზაული თარგმანი	პოეტური თარგმანი	პუბლიცისტიკა	დრამატურგია
მამია გურიელი		1. პოემიდან „რაშიღ ვარდიძე“		1. დემონი - ლერმონტოვის პოემა		
		2. კითხვა		2. ბაირონის ვიაურიდგან		
		3. სატრფოსა დმი				
გ. წერეთელი	1 ჩვენი ცხოვრების ყვავილი				1. ფილოლოგიური განხილვა ქათული ენისა	

					2. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები	
					3. ჩვენი საზოადოების ქრონიკა	
					4. საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დანყობილობა	
გ. ერისთავ						1. დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია
ი. ჭავჭავაძე		1. აჩრდილი		1. ირლანდიისა დმი, ლექსი ტ. მურისა		
ნ. ნიკოლაძე			1. გულივერის მოგზაურობა		1. საზოგადო საქმეები, ბანკის საქმე ჩვენში	
					2. ჩვენი მწერლობა	

აკ. წერეთელი	1. საუბარი ორთა შუა					1. სცენები საპატიმრ ოში
რაფ. ერისთავი			1. ძუნწი გმირი, თხზულება პუშკინისა		1. სურათები ჩვენი ცხოვრებიდან	
იასონ ნათაძე	1. მგზავრის შენიშვნები					
ნ. ბარათაშვილი		1. ზვირთები მოდუდუნე ბენ				
		2. აღმოჰხდა მნათი				
პ. უმიკაშვილი	1. იოსებ მაძინი		1. პიერ ჰუგენინი, ჟორჟ ზანდის რომანი		1. არსენა (კრიტიკული განხილვა)	
					2. შეერთებული შრომა ჩვენი ლიტერატურის ათვის	
					3. მცირე ტომთა ენებზე	

ნიკოლოზ ციფიანი					1. ქართული პოზიის ნიმუში და იმათი განხილვა - „იანიჩარი“ ილ. ჭავჭავაძისა	
გ ჭალადიდელი (ქოჩაქიძე)		1. პოემიდან „უბედურნი “				
ალექსევე მეხიევი			1. მიმომავალ ი ურია - გადმოღებ ული ფრანგული დან [ეჟენი სუ]			
დიმიტრი ყაზბეგი	1. მავნე სულები, ამბავი მოხვევის ცხოვრები დგან					
ვახტანგ ორბელიანი		1. ძველი მაგრისი				
ნ. ცხველაძე					1. მეთექვსმეტე საუკუნე ევროპის განათლებისა	

დ. ერისთავი	1. წყლებზე, უქმი ტურისტის მოთხოვნა					
დომიტრი მელფინენოვი		1. ჩიტი				
ა. ბასტამაშვილი		1. თბილისის გაოხრებაზე				

1873 წელი						
ავტორები	პროზა	პოეზია	პროზაული თარგმანი	პოეტური თარგმანი	პუბლიცისტიკა	დრამატურგია
ი. ჭავჭავაძე	1. გლახის ნამბობი	1. აჩრდილი	1. მეფე ლირი (თარგმნი ლი ივანე მაჩაბელ თან ერთად)			
აკ. წერეთელი		1. ჩემს მეგობარს ნ...ს 2. სხვადასხვა ვარი სიყვარული	1. „სკაპენის ცულლუტ ობა“ - მოლიერი ს კომედია			

		3. ორი სურათი				
		4. რჩევა ახალგაზრდა მწერლებს				
		5. სიმღერა				
ნიკ. ბარათაშვილი		1. დამქროლა ქარმან სასტიკმან				
ნ. ნიკოლაძე	1. შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდან (გადმოკეთებ ული)				1. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება	
	2. სხვათა შორის				2. ახალი ახალგაზრდობა	
					3. ჩვენი მწერლობა: გრ. ორბელიანი	
					4. რუსეთის ცხოვრება, მიმოხილვა	

					5. ჩვენი მწერლობა „გლახის ნაამბობზე“	
					6. ჩემ პიროვნებაზე უპოლემიკური ისტატია	
					7. თანამედროვე მწერლობა, ანრი რომფორი	
პ. ლორთქიფანიძე				1. გარდაცვალებამდე, ნ. დობროლიუბოვისა		
				2. სიმღერა განდგომილთა, პლემჩევიდან		
				3. მთესველი, ნიკიტინიდან		
				4. კილოს მიმოქცევა, პლემჩევიდან		

				5. როცა ზამთარში გაჭირვებული, დობროლიუბოვ იღამ		
				6. ვინც სიცრუის და ბოროტების დროს. ვიქტორ ჰიუგოსი		
გ. წერეთელი	1. ჩვენი ცხოვრების ყვაფილი (გაგრძელება)		1. ეგმონტი, გოეტეს ტრაგედია		1. გვართა ბრძოლა საქართველ ოში	
	2. მგზავრის წიგნები				2. ამ დროის მოძრაობა	
ნ. ცხვედაძე					1. დასავლეთ ევროპის გონებიითი და ეკონომიკუ რი მოძრაობა... (დასასრულ ი)	

გ. ჭალადიდე ლი (ქოჩაქიძე)	1. რად გიკვირს, მიკვირს, ის გულისწამი					
	2. დურგალი					
ივანე მესხი					1. ყმანვილები ს აღზრდა შვეიცარიამ ო	
გ. ზელგენიძე					1. ამერიკული ქალაქი	
პ. უმიკაშვილი					1. ნობათი (ფელეტონი)	

კრებულის ნომრების შინაარსი

1871

#1 (1870 წ. 30 დეკემბერი)

სადღეგრძელო, ანუ ომის შემდეგ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს, თ. გრ.

ორბელიანისა;

დოქტორი კრუპოვის თხზულებითგან, კაცობრიობის სულის ავადმყოფობაზე,

რუსულით თარგმანი გ. წერეთლისაგან;

სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი, ლექსი ***-სა;

ახალი საფრანგეთი, ისტორიული სურათები. 1. საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ

საუკუნეში. ნ. სკანდელისა;

მესმის, მესმის, სანატრელო... ლექსი ***-სა;

მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორის ერეკლის მეფისა;

საახალწლო (საუბარი მკითხველებთან), ნ. სკანდელისა.

#2 (1871 წ. 31 იანვარი)

ჯიბრი, კომედია ორ მოქმედებად, გ. წერეთლისა;

განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ბატონიშვილის ვახტანგისა;

მოთხრობა, რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან, თხზულება ნ.

გოგოლისა, რუსულით გ. ჩიქოვანის ნათარგმნი;

უცხო თემის ყარიბ მოქმელსა, ლექსი ***-ისა;

აჰ, სად არიან, სიჭაბუკე... ლექსი ***-სა

ჩვენი ახალგაზრდობა (საუბარი მკითხველთან), ნ. სკანდელისა;

მგზავრის წერილებიდან, ***-სა;

დამატება: გულივერის მოგზაურობა, თხზულება ჯონათან სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი.

#3 (1871 წ. 30 მარტი)

„კრებულის“ დანიშნულებაზედ;

მოთხრობა, რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან, თხზულება ნ.

გოგოლისა, რუსულით გ. ჩიქოვანის ნათარგმნი (დასასრული);

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი... ლექსი ***-სა;

გლეხკაცების ომები გერმანიაში, თხზულება ბორნესი. თარგმანი ნ. ანტონოვისა;

ლეინედამ, ლექსი ***-ისა;

საზრდო და მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში;

დედა და შვილი, დრამული ეპიზოდი ***-სა.

საზოგადო საქმეები, ახალგაზრდობის აღზრდა ნ. სკანდელისა;

კრიტიკა და იმის მნიშვნელობა ლიტერატურაში, ნ. სკანდელისა;

დამატება გულივერის მოგზაურობა. თარგმანი ნ. სკანდელისა.

#4 (1871 წ. 30 აპრილი)

მელაღუმე, ძველი და ახალი ამბები, ნ. სკანდელისა;

„ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის.“ ლექსი ***-სა;

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის ძველათა, გ. გორისელისა;

მიბაძვა ლეინისადმი, ლექსი ***-სა;

ინგლისზე, ლეინესი, ნათარგმნი ვლ. ნიკოლაძისა;

რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი? ს. მესხისა;

ვოლტერის თქმული, ლექსი, თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა;

„ვარდის ხმაზედ“, ლექსი აკ. წერეთლისა;

შინელი, გოგოლისა, ნათარგმნი ი. მ-სა;

ორი ლექსი დობროლიუბოვიდამ, ნათარგმნი თომა კარგარეთელისა;

ფელეტონი: ფიქრი ლიხის მთაზედ, ნ. სკანდელისა.

#5 (1871 წ. 25 სექტემბერი)

მგზავრის წერილებიდან. ***-სა;
ოთხი ლექსი. ა) „ვაი, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“; ბ) „ჰოი, წარმაგალნო გზასა, ქალნო“; გ) „ვისაც გსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა“; დ) „ხელოქა ჭკვიანის ლექსი“... აღ. ჭავჭავაძისა;
შინელი, მოთხრობა ნ. გოგოლისა, რუსულით ნათარგმნი ი.მ. -საგან, დასასრული;
ებრაული მელოდია, ლექსი მ. ფაბელისა;
ჩემს ძმას და მეგობარს, ლექსი მ. ფაბელისა;
დავა, კომედია ხუთ მოქმედებად, გ. ერისთავისა;
დალოცვილი ძველი ღროება, მოთხრობა ერკმან შატრიანისა;
ჩვენის ისტორიის მასალები. სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის განაჩენი სამართალი;
ერობა, მისი დანიშნულება და წესდება, ნ. სკანდელისა;
რა გვეჭირვება? გ. წერეთლისა;
ბედნიერი ხალხი, ლექსი, ***-სა;
ნადირობა, ლექსი აკ. წერეთლისა.

1872 წ.

#6 (1872 წ. 15 იანვარი)

დემონი, ლერმონტოვის ჰოემა, თარგმნილი რუსულით, ფაბელისა;
დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია, კომედია ხუთ მოქმედებად, გ. ერისთავისა (დასასრული);
საუბარი ორთა შუა, თ. აკ. წერეთლისა;
საქართველოს ისტორიის მასალები - ხევსურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით;
საზოგადო საქმეები, ბანკის საქმე ჩვენში. ნ. სკანდელისა
დამატება: გულივერის მოგზაურობა, ნათარგმნი ნ. სკანდელისა.

#7 (1872 წ. 14 მარტი)

ჰოემიდან „რაშიდ ვარდიძე“, მ. ფაბელისა;
სურათები ჩვენი ცხოვრებიდან, რაფ. ერისთავისა;
მგზავრის შენიშვნები ალეველისა;
სცენები საპატიმროში, აკ. წერეთლისა;

სახალხო ლექსები;

საქართველოს ისტორიის სურათები. მეოთხე საუკუნე, გ. გორისელისა;

ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა, გ. გორისელისა;

ზვირთები მოღუღუნებენ, რომანსი ნ. ბარათაშვილისა;

არსენა (კრიტიკული განხილვა), პ. პეტრიძისა;

ირლანდიისადმი, ლექსი ტ. მურისა, რუსულითგან გადმოღებული ი. ჭავჭავაძისაგან;

ჩვენი საზოგადოების ქრონიკა, გ. წერეთლისა;

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, **;

დამატება: ქართული პოეზიის ნიმუში და იმათი განხილვა, ნიმუში პირველი - „იანიჩარი“ ილ. ჭავჭავაძისა, ნ. დიმიტრიძის.

#8-9 (1872 წ. 21 ივლისი)

რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი“, ი. ჭავჭავაძისა;

ჩვენი ცხოვრების ყვაველი, გ. თე-ლისა;

აღმოჰხდა მნათი, ლექსი ნ. ბარათაშვილისა;

პიერ ჰუგენენი, უორუ ზანდის რომანი თარგმნილი #-#;

იოსებ მაძინი, მ. პეტრიძისა;

სახალხო ლექსი (ერეკლეს გლოვა);

პოემიდან „უბედურნი“, გ. ჭალადიდელისა;

საქართველოს ისტორიული სურათები. მეხუთე საუკუნე გ. გორისელისა;

კითხვა, ლექსი ფაზელისა;

შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთავის, მ. პეტრიძისა;

სატრფოსადმი, ლექსი ფაზელისა;

საამხანაგო ბანკები, იმათი მნივნელობა და დანყოფილობა, გ. წერეთლისა;

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, **;

დამატება: მიმომავალი ურია. ფრანცუზულით გადმოღებული ს. ალექსეევ-მესხიევისაგან.

#10-11-12 (1873 წ. 20 იანვარი)

რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი“, ი. ჭავჭავაძისა;

ტუნწი გმირი, თხზულება პუშკინისა, თარგმნილი რაფ. ერისთავისაგან;

მავნე სულელები, ამბავი მოხევის ცხოვრებიდან, დ. ყ.

ჩვენი ცხოვრების ყვაველი (გაგრძელება) გ. თელისა
ძველი მაგრისი, ლექსი ვ.ო.

წყლებზე, უქმი ტურისტის მოთხოვნა, დ. ერისთავა;
იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი დღეები;
ბაირონის გიაურიდგან, თარგმნილი ფაზელისა;
მეთექვსმეტე საუკუნე ევროპის განათლებისა;
ჩიტი, ლექსი დ. მ.;

მცირე ტომთა ენებზე, მ. პეტრიძისა;
თბილისის გაოხრებაზე, ლექსი;
ამ დროის ვითარება, გ. წერეთლისა;
ჩვენი მწერლობა, ნ. სკანდელისა.

1873წ.

#1 (1873. 26 აპრილი)

გლახის ნაამბობი, მოთხოვნა ი. ჭავჭავაძისა;
ჩემს მეგბარს ნ...ს, ლექსი აკ. წერეთლისა;
ნიკ. ბარათაშვილის წიგნები, ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა;
გლეხური სიმღერა...;
ნაპოლეონ მესამის ცხოვრება, ნ. სკანდელისა;
გარდაცვალებაზე, ლექსი ნ. დობროლიუბოვისა;
ჩვენი ცხოვრების ყვაველი (გაგრძელება), მოთხოვნა გ. თელისა;
დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიკური მოძრაობა თავისი მიზნებით მე-16
საუკუნეში (დასასრული), ნ. ცხვედაძისა;
აჩრდილი, პოემა, ხანა IV-VIII, ი. ჭავჭავაძისა;
ახალი ახალგაზრდობა, ნ. სკანდელისა.

#2 (1873 წ. 27 ივნისი)

გლახის ნაამბობი, მოთხოვნა, თავი VI-VIII, ი. ჭავჭავაძისა;
დამქროლა ქარმან სასტიკმან, ლექსი ნ. ბარათაშვილისა;
სხვადასხვაგვარი სიყვარული, ლექსი აკ. წერეთლისა;
ჩვენი ცხოვრების ყვაველი, მოთხოვნა, თავი XVI-XXI, გ. თელისა;
სიმღერა განდგომილთა, პლეშჩევიდან;

შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდან (გადმოკეთებული ნ. ნიკოლაძის მიერ);

რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი“, XI-XXIV თავები,, ი. ჭავჭავაძისა;
გვართა ბრძოლა საქართველოში გ.გორისელისა.

#3 (1873წ. 17 ივლისი)

გლახის ნაამბობი, თავი IX-XI, მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა;

ორი სურათი, ლექსი აკაკი წერეთლისა;

გლეხური სიმღერები, ილია ჭავჭავაძის შეგროვილთაგან;

ნიკ. ბარათაშვილის წიგნები, ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა (დასასრული);

რჩევა ახალგაზრდა მწერლებს, ლექსი აკ. წერეთლისა;

ნაპოლეონ მესამის ცხოვრება: თავი III-XI, ნ. სკანდელისა;

მეფის სოლომონ მეორის დრო, მოხუცის ნაამბობთაგანი;

რათ გიკვირს, მიკვირის, ის გულისწამი, ლექსი გ. ჭალაღიდელისა;

სახალხო ლექსები პ. უმიკაშვილის შეკრებილთაგან;

ჩვენი მწერლობა: გრ. ორბელიანი, ნ. სკანდელისა;

ფელეტონი: ამ დროის მოძრაობა, სტატია გ. წერეთლისა.

#4 (1873 წ. 25 ექტემბერი)

სხვათა შორის, ნაგრძნობი და განაგონი ნ. სკანდელისა.

#5-6 (1873წ. 29 აგვისტო)

ეგმონტი, გოეტეს ტრაგედია, პირველი ნაწილი, თარგმანი გ. წერეთლისა;

გვართა ბრძოლა საქართველოში (გაგრძელება), გ. გორისელისა;

აჩრდილი, ხანა IX და XIII, პოემა ი. ჭავჭავაძისა;

გლეხური სიმღერები, ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;

მგზავრის წიგნები, პირველი ნაწილი, გ. წერეთლისა;

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი, ლექსი ი. ჭავჭავაძისა;

რუსეთის ცხოვრება, მიმოხილვა, ნ. სკანდელისა;

მთესველი. ნიკიტინიდან, ლექსი;

ჩვენი მწერლობა „გლახის ნაამბობზე“, ნ. სკანდელისა.

#7 (1873 წ. 17 სექტემბერი)

კილოს მიმოქცევა, პლეშჩევიდან, ლექსი;
ქართული სახალხო პოეზია, გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი
რაფ. ერთავისაგან;
ეგმონტი, გოეტეს ტრაგედია (დასასრული), ნათარგმნი გ. წერეთლისა;
გლეხური სიმღერა, ილია ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;
ჩემ პიროვნებაზე, პოლემიკური სტატია ნ. სკანდელისა;

#8 (1873წ. 27 სექტემბერი)

სკაპენის ცულლუტობა, მოლიერის კომედია, ნათარგმნი აკ. წერეთლისა;
ყმანვილების აღზრდა შვეიცარიაში, სტატია ი. ი.;
ამერიკული ქალაქი, სტატია გ. ზედგენიძისა;
გლეხური სიმღერები, ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;
როცა ზამთარში გაჭირვებული, დობროლიუბოვიდამ, ლექსი;
თანამედროვე მწერლობა, ანრი როშფორი, ნ. სკანდელისა;
ვინც სიცრუის და ბოროტების დროს. ლექსი ვიქტორ ჰიუგოსი.

#9 (1873 წ. 6 ოქტომბერი)

მგზავრის წიგნები, ნაწილი მეორე: კიკოლიკის ცხოვრება, გ. წერეთლისა.

#10 (1873წ. 1 იანვარი)

მეფე ლირი, ხუთმოქმედებიანი შექსპირის ტრაგედია. ინგლისურიდან გადმოღებული ი.
ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან;
სახალხო პოეზია, ძველებური მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები,
შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან;
იოანე გუსი, სტატია დ. ჩხოტუასი;
დურგალი, ლექსი, გ. ჭალადიდელისა;
ყმანვილების აღზრდა შვეიცარიაში, წერილი ი-ი-სა;
გლეხური სიმღერები, ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;

სიმღერა, ლექსი აკ. წერეთლისა;
ნობათი, ფელეტონი მ. პეტრიძისა;
„კრებულის“ დამატება; წიგნი რედაქტორთან და უკანასკნელი სიტყვა, ანტონ
ფურცელაძისა.

დანართი 4

«კრებულის» დანიშნულებაზედ

ნიკო ნიკოლძე

«კრებული» დღეის იქით ჟურნალათ გამოიცემა. ეს ცვლილება მართო იმას კი არ ნიშნავს, რომ «კრებულის» წიგნები დანიშნულ ვადაზე გამოვლენ, თვეში ერთხელ, და უწინდელს მის შინაარსს ახალი ნაწილები – «მიმოხილვა», «კრიტიკა» და სხვ. დაემატება. არა. ჟურნალი, სხვა რამითაც განირჩევა სხვა და სხვა სტატიების კრებისგან. ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც

თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის «მიმართულებას», მის დროშას, და ჩვენი «კრებული» დარწმუნებულია, რომ ხელ-ცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს. როგორც ყოველი კაცის მოქმედების და მიმართულების ასახსნელათ უმთავრესი საგანი – მისი მიზანია, ისე ჟურნალის ხასიათის გამოსაკვლევათ მისი მიზნის გაცნობაა საჭირო. როცა ჩვენ გაცნობილი გვაქვს ვისიმე მიზანი და ის საშუალებები, ის გზა, რომლითაც ის თავის მიზნისკენ მიმართავს აპირებს, ჩვენ სრული სჯა შეგვიძლიან შევადგინოთ ამ პირის მიმართულებაზე და მოქმედებაზე. და რადგანაც ჟურნალის საქმეც ამნაირივეა, და მისი შრომა მით უფრო ადვილდება, რაც უფრო უკეთ და სრულათ გაცნობილი აქვს მკითხველს მისი მიმართულება, ჩვენ აქვე უნდა გამოვთქვათ მისი მიზანი, საშუალებები და მოქმედების გზა.

«კრებულს» ისევე მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი თავისი საზოგადოების ბედნიერება. როგორც ყოველ გონიერ კაცს, ამნაირ ბედნიერებათ მთელი საზოგადოებისთვის «კრებულს» ის მიაჩნია, რომ ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხეულის და გონების ძალა რაც შეიძლება უფრო სრულათ გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას, რაც შეიძლება, უფრო სრული დაკმაყოფილება მისცეს.

ამნაირი ბედნიერება ის მიზანია, რომელსაც მისდევს მთელი კაცობრიობა. მაგრამ იმის მიღწევას ქვეყანაზე ბევრი რამ უშლიდა და ეხლაც უშლის. ყველაზე უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ნიადაგ ხვდება და ხვდება კიდევ ამ მიზანს, ის საზოგადო აზრია, ვითომც ამ ბედნიერების მიღწევა თვითონ კაცს და კაცობრიობას კი არ შეუძლია, – ამ სიკეთეს ის ზეგარდმო უნდა მოელოდეს, ვითომ კაცის უბედობა საბრალო დედა-მინაზე თვითონ კაცის აგებულების, ან და გარშემო ბუნების საქმეა,

ვითომ კერძო პირს, ან კერძო პირების კრებას არა შეუძლიათ რა ამ უბედურების დასათურგვენელად და ბედნიერების მისაღწეველათ. «ასე უნებებია ბედს, თეძრობენ საზოგადოდ ამ საგანზე, მამ დავემორჩილოთ მის წმინდა განგებას"... კაცის ბედზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს თვითონ კაცს; ისეთი გავლენა აქვს, რომ იმას შეუძლია მთელი მხარის შეცვლა, მის ბუნებითი მდგომარეობის გადასხვაფერება და თავის სასარგებლოთ მონყობა.

თუ კაცს და მის გონებას ამსიდიდე გავლენა აქვს თვითონ ბუნების გადასხვაფერებაზე, თუ კაცის ტვინს და შრომას შეუძლია, ბუნების კანონების გამოკვლევით და მათი გონიერათ ხმარებით, თვითონ ბუნების ხასიათის შეცვლა, რაღა თქმა უნდა, რომ წვრილმანობაში იმას მეტის მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა დაბრკოლებებზე, როლებიც იმას ცხოვრებას უმწარებენ და ბედნიერებას აშორებენ. მართლაც, რა გინდ დაბრკოლება აილო კაცის ცხოვრებაში, ყველა, თითქმის ისეთნაირი იქნება, რომ კაცის გონებას და შრომას მათი დათრგუნვა და მოგერიება შეუძლია, ან შეეძლება. ავილოთ მაგალითად, უამი. უწინდელ დროს ეს სენი რომელიმე მხარეს რომ ეწვეოდა, მას შემდეგ მხარე თითქმის მოსრესილი დარჩებოდა: ხალხი გაილენებოდა, და ვინც დარჩებოდა, იმას საზრდო აღარ ექნებოდა, რადგანაც უამიანობას ხენა-თესვა სწყდებოდა. და ორმოცი, ხან ასი წელიწადი სჭიროდა ხალხს წელის გასამართავათ, უამის კვალის ამოსახოცველათ... განათლებულ ქვეყნებში კი უამმა და ამგვარმა სენებმა დიდხანია რაც თავისი საზარელი ხასიათი დაკარგეს, და უბრალო ავადმყოფობათ გადაიქცნენ, რომელიც თან და თან უფრო სუსტად და სუსტად ეპყრობა ხალხს, და მალე სრულიადაც გაქრება სწავლის და ხეირიანი ცხოვრების წინ... შენიშნულია, რომ ეს სენები, და საზოგადოთ ავადმყოფობა, უფრო ადვილად იჯახნებს და ხოცავს მდაბიო ხალხს და იმ პირებს, რომელთაც შეძლება არ აქვთ ხეირიანი და გონიერი ცხოვრებით მათ ბუნების მოთხოვნილება

დააკმაყოფილონ, ესე იგი, რომელნიც ცუდ სადგომებში სცხოვრობენ, ცუდად ტანს იცმენ, ცუდი საზრდოთი თავს ირჩენენ და გადაჭარბებულ ჯაფაში არიან.

შენიშნულია, კიდევ, რომ ამ სენებს ყველაზე უფრო კარგად იგერებს, წამალი კი არა, ან ექიმის დახმარება, არა, – ხეირიანი და გონიერი ცხოვრება, საზრდო, და ის ხალხი, რომელიც, უფრო კარგად სჭამს და სვამს, კარგად ცხოვრობს, უფრო ნაკლებად იჩაგრება სხვა და სხვა სენების დროს. ამ ნაირთავე იქცევა ხოლერა, რომელმაც ამ უკანასკნელ დროში თავისი საშინელი ძალა დაკარგა, და ეხლა ის იჩენს ხოლმე თავის დამღუპველ გავლენას, იჯახნებს მარტო ღარიბ, გაჭირვებულ ხალხს, რომელიც ცუდად იკვებს თავს და ცუდ, დახშულ ჰაერს სუნთქავს...

როგორც სენი, იმგვარათვე ყოველი სხვა ავადმყოფობაც იდრეკს მუხლს ხეირიანი ცხოვრების წინ. ხურება, ცივება, ყვავილი, წითელა, ხველა, ჭლექი, ერთი სიტყვით, თითქმის ყოველ-ნაირი ავადმყოფობა მეტის მეტად კლებულობს, თითქმის სრულიადაც ქრება იმ ხალხში ან იმ საზოგადოების ნაწილში, რომელსაც ხეირიანი ცხოვრების საშუალება აქვს, და მხოლოდ იმ უბედურ ხალხზე იმარჯვებს და ვარჯიშობს, რომელსაც ჯერ ჯერობით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ მოუხერხებია, რომ კაცურ მდგომარეობაში კაცურ ცხოვრებას მიეცეს და ბედნიერებას ეღიროს...

მაშასადამე, გაჭირვება, რომელიც ბუნებისგან უძლური კაცის დაჩაგვრაში მდგომარეობს, და, რომელიც, ყველას აზრით უმთავრეს დაბრკოლებას შეადგენს კაცობრიობის ბედნიერებისთვის, ეს გაჭირვება, ვამბობთ, ჰქრება თვითონ კაცის შრომის და მოხერხების წინ, ემორჩილება კაცის ტვინს და ხასიათს, რადგანაც მისი უმთავრესი საფუძველი – კაცის ცხოვრების უხეირობა, საზრდოს და სადგომის უვარგისობა და ნაკლულევანება არის. რაღა თქმა უნდა, რომ ამ მიზეზს კაცი ყოველთვის მოერევა.

მართლაც, რაა ცხოვრების მოთხოვნილება? რა სჭირია კაცის ბუნებას ისეთი, რომ თვითონ კაცს მისი შეძენა და შოვნა არ შეეძლოს? კაცის ბედნიერებისათვის ჩიტის რძე, ან ნატვრის თვალი რომ იყოს საჭირო, ან მარტო ბუღბუღლის ენებიდან

დამზადებულ საზრდო ან სხვა, ამნაირათვე ძვირი და უპოვარი საგნები, უეჭველია, კაცს მათი შოვნა გაუძნელდებოდა, არ შეეძლებოდა, და, ამისგამო, მისი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა, ესე იგი ის სამუდამოთ უბედური იქნებოდა. მაგრამ, აქვს, განა, კაცის ბუნებას ამისთანა მოთხოვნილებები? სანამ სწავლულებს კაცის ბუნება არ გამოეკვლიათ, სანამ სწავლას არ დაემტკიცებია, რომ საზოგადოთ ყველა კაცების სხეული და არსება ერთ და იმავე კალაპოტზეა გამოყვანილი და ყველას ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს, უმთავრეს საგნებში, მანამდი დიდი ხმა ჰქონდა იმ პირების აზრს, რომლებიც ამბობდენ: კაცი მუდამ დალაგებული უნდა იყოსო, თორემ მის სურვილს, მის მოთხოვნილებას ბოლო არ ექნებაო. ამ აზრს ის შენიშვნაც ამტკიცებდა, რომ კაცის სურვილი გაუმაძღრათ სჩანდა, პირველ დაკვირვებაზე, მაგრამ, სწავლამ რომ ეს საგანი ხეირიანად გამოიკვლია, აღმოჩნდა, რომ სურვილსაც და მოთხოვნილებასაც გარდუვლელი სამზღვარი ჰქონია დანესებული ბუნებისაგან... წუთიერი მნიშვნელობა აქვს შიმშილით ან ნაკლულევანებით გაავათმყოფებულ «სურვილს». მოუტანეთ მშიერ კაცს, რომლის ფანტაზია ფერად-ფერად, ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს უხატავს, მოუტანეთ ამ კაცს ყოველიფერი, რაც კი მის ფანტაზიას წარმოუდგენია, და დაუდგით წინ სულ ერთიანათ, თუ ბიჭია, გაასალოს მეთაფი, მესაფი მაინც, იმის, რასაც დამშეული შეხაროდა და ნდომულობდა. ის მაშინვე ეცემა ნოყიერ საჭმელს, ხორცს, პურს, ღვინოს და მარტო იმდენს შეჭამს და შესვამს, რამდენიც მის დამშეულ სტომაქს სჭიროდა: დანარჩენი ხელ-უხლებელი დარჩება, და გამძლარი კაცი შეზიზღებით მოაცილებს თვალს ნანატრ საგნებს, და რა გულის წრფელობით იტყვის: «ამაო ამათაო».

დიდი განსხვავებაა, მაშასადამე, კაცის ბუნების ნამდვილ, რეალურ მოთხოვნილებას და ცრუ წუთიერი ფანტაზიის სურვილს შუა, როგორც ცხოვრებას და სიზმარს შუა, ამნაირი სურვილი თითქმის არც არსებობს, ის ავათმყოფი, შეწუხებული ტვინის და სხეულის ბოდვია... ერთ ხანს სწავლულებს შუა დიდი გავლენა ჰქონდა ერთ

ახირებულ მომაკვდინებელ აზრს: კაცობრიობა, ასწავლიდენ ეს სწავლულები, მეტის მეტად ჩქარა იზრდება და მრავლდება; ოც და ოთხ, ხუთ წელიწადში, ხალხს გაორება შეუძლია, შემდეგ ოც და ხუთ წელიწადში გაოთხება და სხვა კაცის საყოფი საზრდო კი დედამიწაზე უფრო ნაკლებათ, გვიანათ მატულობსო, ასე რომ კაცობრიობას ძლიერ მალე საზრდო სრულიად შემოაკლდებაო. ამ აზრმა შეაშინა და აღაშფოთა ბევრი სწავლული და ბევრ კეთილ კაცს დაუბნია გზა და კვალი. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, ამ უკანასკნელ დროში, სწავლამ სულ სხვანაირი აზრის სიმართლე დაამტკიცა.

დამტკიცდა, მაგალითად, რომ ბუნებაში ერთობა სუფევს, რომ ბუნების ძალა ყოველგან ერთი და იგივეა, რომ ბუნებაში სხვა და სხვა ნაწილებს შუა სრული დამოკიდებულება და თანხმობა არის. როგორც ხის ზრდა სრულიად დამოკიდებულია იმ მიწის თვისებაზე, რომელზედაც ამოსულია ხე, როგორც მიწის დაშრობა და უვარგისობა ხის ზრდას ბოლოს უღებს და მიწის გაუკეთესება ხეს ხელახლავ ახარებს და ადიდებს, სწორეთ აგრეთვე ყოფილა კაცის გამრავლებაც დედამიწაზე. სტატისტიკამ შენიშნა, მაგალითად, რომ როცა პური ძვირი ყოფილა ინგლისში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, იქ ნაკლები ყოფილა ორსულობის და დაბადების რიცხვიც და როცა პური და საზრდო გაიაფებულა, მაშინ შესაფერად გამრავლებულა ახალ დაბადებულებიც. საზრდოს ნაკლოვანებას, როგორც წინეთ იყო ნათქვამი, მარტო დაბადებაზე კი არა, სიცოცხლის სიგრძელე ზედაც აქვს გავლენა: რაც უფრო უხვია რომელიმე ქვეყანაში, საზრდო და სხვა საჭირო საგნები, მით უფრო დიდხანს სძლებს ხალხი, მით ნაკლებია მკვდრების რიცხვი, მაშასადამე მით უმრავლესია თვითონ ხალხი... აქედამ, ვგონებთ, ნათლად სჩანს, რომ კაცობრიობას ყოველთვის ექნება იმდენი საჭირო საგნები, რამდენიც მისთვის საჭიროა ცხოვრებაში.

მაგრამ ქონვა და მოხმარება ერთი და იგივე საქმე როდია. შეიძლება რომ საზოგადოთ, რომელიმე ქვეყანაში, საკმაო საზრდო და სიმდიდრე იყოს, და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს უთავბოლო ან უხეირო

განყოფილების გამო... წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ახალციხის მაზრაში ძლიერ ბევრი პური მოდის და ბევრი ხორაგია. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სხვა ადგილებში, მაგალითად თფილისის მაზრაში, პურიც ნაკლები მოდის და ხორაგიც ძვირობს. როცა ზათხელი დგას და ხეირიანი ტაროსი ჩვენ ბუნებურ გზებს ცოტა ოდნათ გასავლელათ ხდის, ახალციხის მაზრიდან პური გადმოაქვთ, და ის საზრდო, რომელიც ახალციხეს მომეტებული იყო და ტყუილად უნდა წამხდარიყო, თფილისში ისეთ პირებზე სალდება, რომელთაც პურის სიძვირე აწუხებდა და ეტყობოდა. მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ თოვლმა ჩვენში უხეირო გზები და გადაუვალი მთები შეკრა, ან წარმოვიდგინოთ, რომ ახალციხის მაზრას სულ არაფერი გზა არა აქვს თფილისელთან მისვლამოსვლისათვის. მაშინ, რასაკვირველია, მომეტებული ხორაგი უსარგებლოთ უნდა დალპეს თვითონ ახალციხის მაზრაში, და თფილისის მაზრის მცხოვრებლებს კი ხორაგის ნაკლებობა უნდა აწუხებდეს.

საზრდოს და სიმდიდრის უვარგის განაწილება სხვა და სხვა მაზრებს და პირებს შუა, გვიჩვენებენ, რომ ამ განაწილების მიზეზიც, როგორც სხვა დაბრკოლებები, კაცის ძალას ქვეშ არიან.

უეჭველია, ვგონებთ, რომ გზების გამართვა კაცს თითქმის ყოველგან შეუძლია, თუ მოხერხება, ცოდნა და შეძლება აქვს. პრუსიელებმა ოცდა რვა დღეში მთიან და მდინარეებიან ადგილში ოცდა თორმეტი ვერსის რკინის გზა გამართეს, შარშანდელი ომის დროს, ფრანცუზებმა ერთი უშველვებელი ტალის მთა გახვრიტეს (მონ-სენი) და შიგ მშვენიერი რკინის გზა გაავლეს. ისე, რომ ტალის ტუნელს რამდენიმე ვერსი აქვს სიგრძე, და ზედ თითქმის მყინვარის (ყაზბეგის) ოდენა მთა აწევს. რკინის გზები გამართულია მდინარეებზე, მთებში, ორმოებში, წყლის ძირში, სახლების ჭერზე და ქუჩებს ქვეშ, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც კი საჭიროება თხოულობდა; აგრეთვე მოგონილია სასტიკი სასჯელი პურის და სხვა ხორაგეულობის შესყიდვისათვის და მერმე ფასის მომატებისათვის. მოგონილია პურის საზოგადო მაღაზიები და

ცენტრალური ფულის კრება (ფონდი) უპურობის დროს საზოგადოებისათვის და ხალხისათვის ხელის გასაწყობლად, მოგონილია (როგორც რუსეთში იყო 1868წ.), საზოგადოების ფულით და ამორჩეული პირების ხელით, იათ ადილებში პურის ყიდვა და გაჭირვებულებში მიტანა, იქ დამშვეულებში დასარიგებლათ, სესხათ... ერთი სიტყვით, კაცს შეუძლია თავისი გონებით და შრომით მოიგერიოს თავიდან ის დაბრკოლება, რომელიც წარმოდგება საზრდოს უსარგებლო განაწილებისაგან... მაგრამ, «შეუძლიაო» რომ ვამბობთ, ეს მართლა იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველს კერძო პირს წამოდგომის და ხელის განძრევის მეტი არა სჭირია რა ამ დაბრკოლებების დასარღვევლათ. შეუძლიან აქ მარტო იმას ნიშნავს, რომ მცოდნე, შემძლე, გამტან კაცებს, ერთათ რომ შეიკრიბონ და თავდარიგიანათ საქმეს ხელი მოჰკიდონ, შეუძლიანთ ბოლოს, დიდი ცოდნის და შრომის ფასათ, ამ დაბრკოლებების მოგერება და დათრგუნა. მაშ ამ საქმეში ცოდნას და შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ. რა ნაირი ცოდნა და რა ნაირი შრომაა საჭირო ამ გარემოებაში? უეჭველია, ვგონებთ, რომ ზემოხსენებულ დაბრკოლებებს ერთი უმთავრესი და საერთო წყარო აქვთ – კაცის ბრძოლა ბუნებასთან, ბუნების დამჩაგვრელი ძალისგან გათავისუფლების სურვილი, ბუნების სასარგებლო ძალით სარგებლობის ნდომა. მაგრამ, როგორ ებრძვის კაცი ისეთ საგანს ან ძალას, რომელსაც არ იცნობს, რომლის მნიშვნელობა და ხასიათი გამოკვლეული არა აქვს? ბუნებას კი არა, ბავშვს რომ შეეხება ბრძოლაში თვალ ახვეული კაცი, ის მაინც დამარცხებული, და იქნება დამახინჯებულიც, გამოვა. ბრძოლაში პირველი საჭიროება – მონინააღმდეგეს ხასიათის, ძალის, მდგომარეობის და ჩვეულებების გაცნობაა. მაშასადამე, კაცისათვის, რომელიც ამ ქვეყანაში ბედნიერებას და ხეირიან ცხოვრებას ეძებს, ყველაზე უსაჭიროესი ცოდნა – ბუნების გამოკვლევაა. არც ერთი ცოდნა არ აძლიერებს კაცის გონებას ისე, როგორც ბუნების ცოდნა. როცა კაცი, სხვა და სხვა კერძო წვრილმან დაკვირვებებს შემდეგ, იქამდი მიაღწევს, რომ შეაგროვებს და შეადარებს ერთმანეთთან სხვა და სხვა კერძო ცოდნას

ბუნების მეცნიერებისას, როცა ის საერთო ანგარიშს უზამს თავის ცოდნას ბუნებაზე და ჯამს გამოიყვანს წვრილმანი ბუნების კანონებიდან, ის ერთ უმთავრეს აზრს დაადგება: «ბუნება ერთია, ყოველი მისი მოვლინება ერთ და იმავე უმთავრეს ბუნების კანონს ემონება; კაცის ცხოვრებაც ერთი ამ ნაირი მოვლენათაგანი არის, რომელიც ყველაფერში ბუნების კანონს მისდევს. ბუნება არც მტერია კაცის, არც მეგობარი, არც სიკეთე უნდა მისთვის, არც სიავე; ბუნებაში არც ერთი არსება არ მოიპოვება, რომელსაც დანიშნულება ჰქონდეს კაცის მოყვრობა ან მტერობა. თვითონ კაცია თავის ბედის გამწყობი: თუ იმან გაიგო ბუნების თვისება, და ამ თვისების შესაფერაო გაიმართა ცხოვრება, ის ბედნიერება იქნება. სანამ იმას არ მოახერხებს, საბრალო და გაჭირვებულ მდგომარეობას ვერ სცილდება».

ეს აზრი მეტის მეტად სასარგებლო და კეთილმოქმედია კაცის ცხოვრებისთვის. ცხოვრების სიმძიმე დიდხანს ჰჩაგრავდა კაცს, დიდხანს აწუხებდა მის გონებას და გულს, ხშირათ გამოითხოვდა იმას საბრძოლველათ, მაგრამ კაცს ერთი აზრი ნიადაგ ხელფეხს უსხლევდა, ნიადაგ გულ-ხელ აკრეფინებდა: «ეს ბედის საქმეა», «ასეა ზეგარდმო დანესებულიო». ეხლა იმას შეუძლია დარწმუნდეს, რომ ბედის საქმე არა არისრა, არც ზეგარდმო ყოფილა დანესებული მისი მდგომარეობა. ამ ნაირათ, ბუნების მეცნიერება გულ-ხელ დაკრეფილ კაცს თავისი ფილოსოფიით ამხნევებს, და თავისი წვრილმანი დაკვირვებებით და ცოდნით ხელში ათასნაირ იარაღს აძლევს, ცხოვრების გასაუმჯობესებლათ... ჩვენ გვაკლია ეს ცოდნა, – ეს ნამეტნათ რბილათ არის ნათქვამი, უნდა გვეთქვა: «ჩვენ არაფერი გაგვეგება ამ ცოდნისა».

ჩვენი ქვეყნის უწინდელი ცხოვრება ისეთ რიგათ იყო განწყობილი, და ისეთ გარემოებებში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ხალხს არც დრო და არც შეძლება ჰქონდა თავის საკუთარ ცხოვრებას დაკვირვებოდა და იმ ნაირათ გაეწყო თავისი მდგომარეობა, როგორაც მის სარგებლობას და სიკეთეს შეეფერებოდა. ყოველ მხრით ჩვენ გვანუხებდა გარეგანი მტერი: ოსმალო, სპარსი, ლეკი თითქმის ყოველ დღე

გვესოდა თავზე, და ჩვენ ხალხს ნიადაგ მარტო ერთი საზოგადო აზრი და საქმე ჰქონდა, – თუ როგორ დაეფარა თავი ამ შესევნიდგან, რა გზით დაეცვა თავის ქვეყნის და ოჯახების სიმტკიცე და თავისუფლება. ოღონდ უწყალო და ამკლებელ გარეგან მტერს გადარჩენოდა ჩვენი ხალხი, და შინ რა ბედი დაემართებოდა, რა განწყობილებაში იქნებოდა, ამას ის აღარ ეძებდა... ყოველ ხალხისთვის ცოტაოდნათ მაინც სასარგებლოა ხანდისხან მეზობელთან და გარეგან მტერთან მისვლა-მოსვლა და შეტაკება; მაგრამ ეს სარგებლობა მარტო მაშინ წარმოდგება, როცა რომელიმე შემოძველებული წესით დახავსული ხალხი უკეთ განწყობილ და ხეირიანად აღზდილ ხალხს ეყრება. მაშინ ის თავის მეზობლიდგან ახალ წესს და სიკეთეს იღებს. თავის ცხოვრებას აძლიერებს, თვითონ უკეთესდება და ცოტა ხანს შემდეგ გაახლებულ ხალხათ გამოდის. ამ ნაირი როდი ყოფილა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა: იმას გარშემო მტერი ერტყა, რომელიც მის შვილებს გარეთ არ უშვებდა განათლების და გამოცდილების მისაღებათ; მართალი რომ ვსთქვათ, არც ჩვენები ეძებდნენ ნამეტნათ ამ განათლებას, ამიტომ რომ არსაით მისი სიკეთის მაგალითს არ ხედავდნენ. მართლაც, ჩვენი მტრები ყველანი იმნაირივე ველურ და ადამის წლის მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ჩვენ თვითონ. იმათაც ცხოვრების მეცნიერებათ, ხელმძღვანელათ მარტო მამაპაპური ჩვეულება და აზრები ჰქონდათ; იმათაც ჩვენსავით თავიანთი მახინჯი საზოგადო განწყობილება ღვთის განგებისგან დაწესებულათ მიაჩნდათ. ისე რომ მისი გაუმჯობესების, შეცვლის ან გადასხვაფერების აზრი იმათ თავის ღღეშიაც თავში არ მოსვლიათ. ამ მიზეზების გამო ცხოვრება კუს სიარულით მიმდინარეობდა, სწორეთ ისე, როგორც ასი და იქნება ათასი წლის წინათაც...

ბოლოს, ჩვენზე უკეთ განწყობილმა და უმჯობესმა ცხოვრებამ თავი შემოჰყო ჩვენში. რასაკვირველია, ჩვენ იმის მისაღებად დამზადებული არ ვიყავით, და ამის გამო დავრჩით გაშტერებულნი, თითქო საქმე ჩვენ სრულიადაც არ შეგვხებოდა. მაგრამ ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ ახალ ნანახ წესს და

განწყობილებას ბევრი ისეთი მხარეები ჰქონია, რომელნიც ჩვენებურს ათი ათასჯერ სჯობდნენ. ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მიგვაჩნდეს.

როცა ჩვენ ყური ვადევნეთ ამ წესს, ცხოვრებას და მეცნიერებას, გავიგეთ, ცოტ-ცოტა, რომ არც ევროპას ღირსებია იათუათ ეს სიკეთეები. ჩვენ შევიტყვეთ, მაგალითად, რომ ევროპის ცხოვრებას ბევრი კალაპოტი გამოუცვლია, ბევრი ჭახრაკი და ვაივაგლახი უნახავს, სანამ იმ ნაირ განწყობილებამდი მისულა, რომელსაც ჩვენ ეხლა უნდა შევნატროდეთ და კიდევ შევნატრით. ჩვენ შევიტყვეთ, რომ იქაურ ხალხებს პირდაღებული და გულხელდაკრებილი კი არ მოუცდიათ ამ ბედისთვის, და არც ეს სიკეთეები ზეციდან ჩამოცვენიათ. არა, იმათ ძლიერ ბევრი უშრომიათ, ბევრი უმეცადინებიათ, ბევრნაირი საცადი უსინჯავთ, სანამ ეხლანდელ თავიანთ მდგომარეობას და მღიმარე ბედს მოიპოვებდნენ... მაშასადამე, რაკი ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენთვის მეტის მეტათ შესახარბებელია სხვა ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა იმათ თავიანთ აკვანში როდი უპოვიათ, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რა ნაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და განწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასათუქნებლად და გასაძლიერებლათ. ჩვენ არც ამ გზას ვიცნობთ, ჯერ, არც ამ წესს. ჩვენი უმეცრება ამ საგნებში ისეთი უსაზღვროა, რომ ზოგიერთი იშვიათი განათლებული პირებიც რომ გვირეგია ჩვენში, იმათაც არ იციან ხეირიანათ ეს გზა და წესი.

საზოგადოება ხომ, რასაკვირველია, სრულიად უმეცარია ამ საქმეში... ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ძლიერ შესანიშნავი გავლენა და ძალა აქვს თვით ამ საზოგადოების აზრს და მისი გონების და ზნეობის გახსნას. საზოგადოების ცხოვრება ისე იწყობა, უმეტეს ნაწილად, როგორც

სურს თვითონ საზოგადოებას. მაგრამ, რა სურვილი უნდა ჰქონდეს, ან რა ხასიათით უნდა ეძებდეს თავისი სურვილის დაკმაყოფილებას ისეთი საზოგადოება, რომელსაც აზრის და ზნეობის ცხოვრებაში არა გაეგება რა, და რომლის ტვინი მარტო კერძო, წვრილმან სარგებლობაზე ზრუნავს? რა ნაირად უნდა მოქმედებდეს, საითკენ უნდა მიიწვედეს ისეთი საზოგადოება, რომელსაც არც სხვა ხალხების მაგალითი უძევს თვალს წინ, არც საკუთარი მდგომარეობის გაცნობა და დაფასება შეუძლია? ვინ ან რა უნდა ყავდეს იმას ხელმძღვანელათ? რა უნდა ჰქონდეს მიზნათ, რა და რა საფუძველი უნდა ედვას მის შრომას და სურნელს, რა ძალას უნდა ხმარობდეს ის თავისი მიზნის მისაღწევათ? – ამ კითხვაზე არავის პასუხის გაცემა არ შეუძლია, ამიტომ რომ ის მეცნიერება, რომელიც ამ კითხვებს იკვლევს და ხსნის, ჩვენთვის უცნობი და დახშულია.

ეს მეცნიერება ხუმრობა რამ არ უნდა ეგონოს მკითხველს. მისი მიზანი, როგორც წინეთ ნათქვამი იყო, კაცობრივი საზოგადოების დაფუძნება და გაძლიერებაა. მაგრამ ის უსაფუძვლო გულკეთილობაზე და სურვილზე კი არ არის დაფუძნებული, იმას გაუხილავს სხვა და სხვა ქვეყნების ცხოვრება, სხვა და სხვა შემთხვევების ერთმანერთზე დამოკიდებულება და სხვა და სხვა ხალხების წარსული და ეხლანდელი ბედი, და ამ განხილვის დროს ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება. ეს კანონები ერთ, საქვეყნო, ბუნების კანონს ჩამოგავენ.

და როგორც ბუნებაში ყოველივერი ბუნების კანონს ემონება და მისგან იღებს თავის ძალას და სიცხოველეს, ისე საზოგადო ცხოვრება, თავის უნებურათ და უცოდნელათ, ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროთ, უცილებლათ მისდევს მის ნებას... საზოგადო ცხოვრებაში არაფერი ხდება უეცრათ და უმიზეზოთ, ისე, რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს. როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენები ერთმანეთში

ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებულები არიან... შემოიღეთ ამ ნაირ საზოგადოებაში ხეირიანი სამართალი, დაარწმუნეთ ხალხი, რომ მის ქონებას და შრომას, უიმისოთ, ვერავინ შეეხება, დაარწმუნეთ საზოგადოება, რომ მიცემული პირობა ასრულებული იქნება, გასესხებული ვალი – ამოღებული, დაჩაგრულს – სამართალი მიეცემა, და მაშინ ნახეთ, რა ნაირათ გაშლის ფრთებს ამ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება, რა აღებ-მიცემა და მისვლა-მოსვლა გაიმართება იმაში, რა სინათლე გავრცელდება ამ მისვლა-მოსვლის გამო და რამდენათ გაუკეთესდება და გამრავლდება მთელი ხალხის მდგომარეობა და სიმდიდრე, მისი ხასიათი და ზნე, – იმ უბრალო მიზეზით, რომ უხეირო და მოქრთამე სასამართლოს მაგიერ, დაწესდა პატიოსანი და პირუთვნელი სამართალი. ამ ნაირივე მაგალითებს წარმოგვიდგენს ჩვენ თითქმის ყოველი კერძო მხარე ხალხის ცხოვრებისა. სასწავლებელს, ერთმანერთის დახმარებას და ხელის განყოფას ბანკებით და სხვა და სხვა ამხანაგობებით, გზებს, სხვა და სხვა წოდების მდგომარეობას და სიმართლეებს, ერთი სიტყვით ყველაფერს, თვალ-უნვდენელი გავლენა აქვს მთელი ხალხის ცხოვრებაზე, და არა მარტო ორიოდ პირზე...

– სასწავლებელში, ნამდვილი, გამოსადეგი მეცნიერების მაგიერ, ბავშვებს უსარგებლო და უსაფუძვლო საგნები რომ ვასწავლოთ, ისინი ცხოვრებაში სხვებსავით ხეპრენი გამოვლენ – განსხვავება მარტო ის იქნება, რომ იმათ განათლებულის სახელი (მარტო სახელი!) ერქმევათ. მათი საქციელი და ცხოვრება, მათი მაგალითი სრულიად უნინდელი გაუნათლებელი ხალხის ყოფა-ქცევას ჩამოემსგავსება, ზოგიერთი ახალი ფრაზების ხმარების გარდა, მაგრამ ფრაზებში ხომ არ მდგომარეობს კაცის მოქმედება და ხასიათი... მასასაღამე, «საზოგადოების მეცნიერებაში» უნდა ვეძებოთ ჩვენ იმ კითხვის ახსნაც, თუ რა ნაირი, როგორი და რა მიზნიანი განყოფილება (სამართალი ვარ, თუ სასწავლებელი, ბანკი, თუ საავათმყოფო და სხვ.) უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რომელს და რა შედეგი მოსდევს, რა და რა

სარგებლობა და ვნება. «საზოგადოების მეცნიერებას» უნდა მოვთხოვოთ ჩვენ იმ საქმის ახსნაც, თუ რა და რა ნაირ მდგომარეობაში, რა და რა ნიადაგზე ხარობს და ძლიერდება სხვა და სხვა განწყობილება, და რა ჰავა სწყენს იმას, რა ჰავა არგებს. – როგორც ერთი მხარედგან მეორეში გადარგული ვაზი შესაფერ ნიადაგს და ჰავას თხოულობს, უიმისოთ თავის ხასიათს და თვისებას კარგავს და ცოტა ხანის შემდეგ იმნაირ ვაზათ იქცევა, როგორც უნინ იმ ნიადაგზე იზრდებოდა, სწორეთ იმავე ნაირათ იცვლის თავის ხასიათს და თავის თვისებას ყოველი საზოგადო განწყობილება, თუ თავისი შესაფერი სხვა გარემოებებიც არა აქვს...

მიუბრუნდეთ კიდევ მეორე მაგალითს, – ნასწავლი ყმანვილის მოქმედებას საზოგადოებაში... ასიოდე ყმანვილს, რომელთაც სახელმწიფო ხარჯით უმაღლესი სწავლა მიიღეს, და რომელთაც ეხლა ას-ასი და ორას-ორასი თუმანი შემოსავალი აქვთ წელიწადში, ადვილათ შეეძლოთ სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის და ხალხისთვის მათზე დანახარჯი ფულის და შრომის დაბრუნება, თითო-თითო ყმანვილი მაინც რომ გაეზარდათ თავის საკუთარ ხარჯით, და ორასი თუმნიდან ათის თავი მაინც გადაედვათ ამ საქმისთვის. ეს ჩვენში თითქმის არავის არ უქნია, არავის არ აუსრულებია თავის მოვალეობა... აქედან სჩანს, რომ «საზოგადოების მეცნიერებას» ერთნაირ კითხვაზე კიდევ უნდა მოვთხოვოთ ჩვენ პასუხი: იმაზე თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წევრების ხასიათს, ზნეს და პატიოსნებას.

ქვეყანაში ჯერ არც ერთი სიკეთე, არც ერთი სასარგებლო საქმე არ გარიგებულა უხეირო და სუსტი კაცის ხელით, არც ერთი ამამალლებელი აზრი არ დაბადებულა მის თავში. რაც კაცობრიობას სახეირო და სასახელო რამ ღირსებია თავის სიცოცხლეში, ეს ყველაფერი გაუკეთებია მისთვის მაღალი და პატიოსანი ხასიათის პირებს, რომელნიც თავიანთი აზრით, მოქმედებით და ხასიათით ამშვენებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. უნმინდური ხელით წმინდა რამ თავისი დღეში არ გაკეთებულა, ეს ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ყოველ საქმეს, ყოველ მიზანს კაცის

შრომა და ძალა სჭირია, ისეთი შრომა და ძალა, რომელსაც ათასნაირი დაბრკოლების დათრგუნვა შეეძლოს. უეჭველია, რომ მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება თითონ ყველა თავის საქმეებს ვერ გამართავს, რადგანც უმეტეს ნაწილს თავთავის კერძო საქმე და კერძო სარგებლობა აქვს, და ათასი კაცი ერთ საქმეს რომ დაეხვიოს, ეს საქმე ამ დახვევით ვერ იხეირებს. იმისგამო საზოგადო ცხოვრება ისეთ რიგით იმართება ყოველგან, რომ საერო, საქვეყნო საქმეებს სანდო პირები მმართვენ... იმათ უკისრიათ მთელი საზოგადოების წინმძღომლობა, მისი სარგებლობის და კეთილ-დღეობის დაცვა და ყურისგდება, მისი ბედის გაუკეთესება. ამ მიზანს, როგორც წელან ვამბობდით, აუარებელი დაბრკოლებები აძნელებენ, და ამ დაბრკოლების მოსაცილებლათ, ამ მიზნის მისაღწევათ, ესე იგი საზოგადო ბედის გასაუკეთესებლათ, საჭიროა საზოგადოებისთვის მხნე, გონიერი, შეურყევლათ პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომელთაც თავის საკუთარი სარგებლობა და მიზანი სრულიადაც არ უნდა ჰქონდეთ, რომელნიც საზოგადო საქმისთვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნისთვის უნდა კვდებოდნენ... განა ბევრია მისთანა საუცხოვო პირი, მისთანა დედა მიწის მარილი, უშრომელოთ ხავსიანდება და ლპება საზოგადო ცხოვრება და ხასიათი? – ჩვენ ვცხოვრობთ რბილ, ჩვილ დროებაში. ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე მეტის-მეტად მომტყდარი, უგულო და უსულო შეიქნა. დაბრკოლებასთან ბრძოლა კი არა, ჩვენ დაბრკოლების აზრიც გვაშინებს. ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო სიკეთე შემწვარი, გამომცხვარი, მარილ წაყრილი ჩავვიცვინდეს პირში. ჩვენ კბილის მოქნევაც გვეზარება ამ სიკეთით სარგებლობისთვის; დაბრკოლების მოშორებას, ბრძოლას და მიზნის მიღწევას ვინლა დაეძებს, ჩვენ იმისიც კი გვერიდება, რომ ნაცნობს, მეგობარს პირში ისეთი აზრი არ უთხრათ, რომელიც მისას არ ედარება, რომელიც მისი სანწყენი და წინააღმდეგია. ამნაირ შემთხვევაში ჩვენ ათასფრათ ვარბილებთ ჩვენ აზრს, მისს ბამბით და ვარაყით შეხვევას ვცდილობთ, იქნება მსმენელმა არ იწყინოს, ვინცობაა, და ჩვენი სამდურავი გულში არ ჩაისახოს... საზოგადო საქმე, საზოგადო მიზანი,

სარგებლობა? ვინ არ ხარხარებს ჩვენში, როცა ამ სიტყვებს ყურს მოჰკრავს. ვის არ მიაჩნია ისინი ბავშურ ოცნებათ, სიტუტუცეთ. «ჩემი რაა, რას დავეძებ», – ეს სიტყვები ვის არ ადგია ენაზე, ყოველთვის, როცა «საზოგადო სარგებლობა» ჩაენვეთება ყურში? ვის არ მიაჩნია ეს სიტყვები იმ უცნაურ და თვალმაქცურ მარგალიტათ, რომლითაც ადვილათ შესაძლებელია «საზოგადო ცხვრის» გაკრეჭა და «საზოგადო მატყლით» თავისი საკუთარი ტყავის და სხეულის გათბობა?...

განა ბევრია იმისთანა საუცხოვო პირი, იმისთანა ქვეყნის კეთილისმყოფელი, რომელმაც დაანახოს დაბნეულ საზოგადოებას, რომ საზოგადოს სიკეთე ჩვენი, ესე იგი შენი და ჩემი სიკეთეა, რომ რაც უფრო მკვიდრი და ვრცელია საზოგადო სარგებლობა, მით უფრო მკვიდრ და შეურყეველ საფუძველზე დამყარებულია ყოველი კერძო პირის სიკეთე და კეთილდღეობა? ბევრია იმისთანა პირი, რომელიც ჩაგვიდგამს ჩვენ ამ «საზოგადო სულს», გვიჩვენებს ამ საზოგადო მიზანს, გაგვიმაგრებს ხასიათს, აგვიმაღლებს გრძნობას, არ მოერიდება დაბრკოლებას და მიგვანევიწებს საზოგადოების მაღალ მიზანს, – ყველას და თითოეულის ბედნიერებას?... .

..უღარდელათ, უზრუნველათ უცქერით ჩვენ ყოველ გვარ უხეირობას, სიცუდეს და ავკაცობას, თითქო ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებოდეს, თითქო ჩვენი მახლობელი ჩვენი სისხლის არ იყოს და მის ბედს და უბედობას ჩვენზე არაფერი გავლენა არ ჰქონდეს. ჩვენ შეურყეველათ ვსტკბებით ჩვენ საკუთარს კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენ საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინეთ ჩვენს მახლობელს მიადგა. მაშინ კი ჩვენ ხმა-მაღლა ღრიალს და გოდებას ვინყებთ. მაგრამ, ჩვენს უბედობას მახლობელი იმნაირივე გულგრილობით გულხელდაკრეფილი დაცქერის, როგორითაც ჩვენ მის უბედურობას დავეყურებდით, თითო თითოს, ცალ-ცალკე, ნელნელა, შეუნიშნავად გვჭამს ჩვენი ზნეობითი სენი და ჩვენ კი უხასიათობისა და უზრუნველობის გამო, არ ვსცდილობთ, რომ ერთად, ძმურათ თავიდან მოვიცილოთ

ზემოხსენებული სენი, რომელიც ყველას ცალცალკე, მაგრამ მაინც ყველას ერთნაირათ, გვანუხებს და გვამდაბლებს...

* * *

მკითხველს, ალბათ, ჰგონია, რომ ჩვენ მეტის-მეტათ გადაუხვიეთ ამ ნაწერის საგანს – «კრებულის» დანიშნულებას – და ისეთ საგნებს შევეხვევით, რომელთაც არაფერი დამოკიდებულება არა აქვთ უურნალის ხასიათზე. ამ შემთხვევაში ის სცდება: რადგანაც ყოველი ხეირიანი უურნალის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება, «კრებულსაც» (რომელსაც ხეირიან უურნალათ ყოფნა ჰსურს), უნდა თავდაპირველათვე გაესინჯა თავისი მომავალი გზა, ესე იგი გამოეკვლია საზოგადო საჭიროება და გამოეძებნა ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თანადროული ცხოვრების გაუმჯობესება. წინა ფურცლებს მეტი მიზანი არა ჰქონიათ.

ეხლა ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვიყენოთ ზემონათქვამიდან ჩვენი შემდეგი მოქმედების რიგი და წესი. რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემსუთველი დაბრკოლებები მოიცილოს, რაკი ამ საქმისთვის აუცილებლათ საჭიროა ხეირიანი ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი, – უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისთვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი უურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა გზით და რანაირათ შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლოთ მოხმარება. უეჭველია, რომ ყოველი პატიოსანი უურნალი ნიადაგ იმ მიზანს უნდა მისდევდეს, რომ გააცნოს მკითხველი საზოგადოება დანერჩილებით ხეირიან გზას, შეაყვაროს იმას შრომა და ცოდნა, ჩაუდგას და აღზარდოს მასში პატიოსანი ხასიათი და შეაძულოს, შეაზაროს ის განხეთქილება, ერთმანეთის გლეჯა, ერთი მეორის შეუბრალებლობა, შეაზიზღოს ის შესაზიზღებელი

მოქმედებები, რომელნიც ბოლოს უღებენ საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებას.

«კრებულს» ნიადაგ თვალწინ ეს მიზანი ექნება, რადგან იმან მხურვალეთ უნდა დაიმსახუროს «პატიოსანი და სასარგებლო ჟურნალის» სახელი... – რამდენათ მიაწევს ის ამ მიზნამდი, ეს ღმერთმა იცის: ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფენილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტისმეტათ ძნელია... მაგრამ, ამ სიძნელეშიაც, «კრებული» ყოველთვის იმ აზრით ჩაიდგამს სულს და სიმხნევს მოიმატებს, რომ მის შრომას მიზნათ საზოგადო სარგებლობა და სიკეთე აქვს. კრებული“, 1871 წელი, #3.